პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეცამეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—26—17, [illegible] 10—58, გამ. კანტორის—8—31.

ორშაბათი, 18 სექტემბერი 1933 წ. № 216 (3772)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუზოგავად აღვკვეთოთ ოპორტუნისტული თვითდინარეობა საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში

ალიკვეთოს ჩამორჩენა სათესლე ფონდების შეგროვებასა და გაწმენდაში

აღმოსავლეთ საქართველოში 25 რაიონიდან 15 რაიონში საშემოდგომო მარცვლეული კულტურების მასიური თესვა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს მიერ დადგენილი ვადების თანახმად უნდა დაწყებულიყო ხუთმეტი სექტემბრიდან. დანარჩენი 10 რაიონი კი უშუალოდ თესვის გაჩაღებას უნდა შეუდგეს 20 სექტემბრიდან.

ჩვენ უკვე ვწერდით ნიადაგის მომზადებისა და განსაკუთრებით მზრალად ხვნის მიმდინარეობის შესახებ. როგორც აღნიშნული გვქონდა, ჩამორჩენა ამ დარგში დიდია; გარდატეხა ხვნის ტემპების საგრძნობი გაუმჯობესებისაკენ ჯერ კიდევ არ არის შემჩნეული. თვითდინარეობისა და დემობილიზაციის განწყობილება კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ყოველივე ამის გამო საშემოდგომო თესვისათვის მზადების მთელ რიგ საპასუხისმგებლო უბნებზე გარღვევები საგანგაშო ხასიათს ღებულობს.

მკითხველის ყურადღება დღეს ჩვენ უნდა შევაჩეროთ სათესლე ფონდების შეგროვების, მისი დახარისხების გაწმენდისა და შეწამვლის მდგომარეობაზე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 20 სექტემბრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონს დაწყებული უნდა ჰქონდეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მასიური თესვა. სახკომსაბჭოს 17 აგვისტოს დადგენილებით, ყველა კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას და ერთპიროვნულ მეურნეს თესვის დაწყებამდე 15—20 დღით ადრე უნდა დაემთავრებია სათესლე ფონდების შეგროვება, დახარისხება, გაწმენდა და შეწამლა.

საქართველოს მიწსახკომის 10 სექტემბრის ოპერატიული ცნობებიდან სჩანს, რომ სათესლე ფონდების შეგროვების და გაწმენდის ვადები არც ერთ რაიონში არ არის დაცული. ავიღოთ მაგალითისათვის სტალინისის რაიონი. აქ თესვა 15 სექტემბრიდან დაიწყო. კოლმეურნეობებში საშემოდგომო სათესლე ფონდების შეგროვების დავალება კი შესრულებულია მხოლოდ 74 პროცენტით და დამზღვევი სათესლეს — 69 პროცენტით. სოფ. გომის, ტელორის, ქვიშხეთის, სურაბის, რუისის, წრომის და ალის ერთპიროვნულ მეურნეობებს დამზღვევი ფონდის შეგროვება დღემდე არ აქვთ დაწყებული. სტალინისის რაიმიწგანმა არაფერი არ იცის სათესლე ფონდების გაწმენდის და შეწამლის მიმდინარეობაზე ერთპიროვნულ მეურნეობებში. 15 ტრიერი — შეუკეთებელი და გამოუყენებელი ყრია სტალინისის სხვადასხვა სოფლებში. ამავე დროს კი სათესლე მასალის ერთი მესამედიც არ არის გაწმენდილი.

სტალინისის რაიმიწგანის გამგე შილაკაძემ და აგარის სამ.-სატრაქტორო სადგურის დირექტორმა კოხოძემ იციან თუ არა, რომ მთავრობამ სწორედ მათ დააკისრა რაიონში პერსონალური პასუხისმგებლობა სათესლე მასალის შეგროვება - გაწმენდის ვადაზე დამთავრებისათვის? და თუ ეს მათ იციან, სანამდის ფიქრობენ ისინი დამშვიდებული უცქირონ ამ სამარცხვინო ჩამორჩენას, რომელიც ჩაშლას უქადის თესვისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა გატარებას?

სტალინისი გამონაკლისს არ წარმოადგენს. სათესლე ფონდების შეგროვებაში ჩამორჩენილია კასპის (მიწგანის გამგე ცხვედაძე) ახალციხის (მიწგანის გამგე ჩიქოვანი) და გორის (მიწგანის გამგე სტეფანოვი) რაიონები. გორის რაიონს მასიური თესვა უნდა დაეწყო 15 სექტემბრიდან. 10 სექტემბრისთვის კი კოლმეურნეობებში სათესლე ფონდების შეგროვების გეგმა შესრულებულია 69 პროცენტით, ხოლო თესლის გაწმენდა 17 პროცენტით. გორის რაიონის სოფ. ტყვიავში და ვარიანში ადგილი აქვს გაუწმენდავი და შეუწამლავი თესლით თესვას. ყოველივე ეს იცის გორის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის დირექტორმა სიხარულიძემ და მიწგანის გამგე სტეფანოვმა, მაგრამ ამ უპასუხისმგებლობის აღმოსაფხვრელად მათ მიერ რაიმე ეფექტური ზომები დღემდე არ ყოფილა მიღებული. ასევე არავითარი ზომები არ არის მიღებული არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ახალციხის მიწგანის მიერ, რომელსაც რაიონში საჭირო სათესლე ფონდის მხოლოდ ნახევარი აქვს შეგროვილი და 7.952 ცენტნერის ნაცვლად სათესლე მასალა შეწამლული აქვს მხოლოდ 150 ცენტნერის რაოდენობით.

ეს ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ მთელ რიგ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციამ, სამ. - სატრაქტორო სადგურმა, მიწგანმა და სოფლის საბჭოებმა ვერ გაიგეს და ვერ შეაფასეს პარტიის და ხელისუფლების იმ კატეგორიული მითითების პოლიტიკური აზრი, რომელიც საშემოდგომო თესვისათვის მზადებას შეეხება. ისინი თვითდინარეობას მიენდვნენ, დემობილიზაციური განწყობილებას აყვნენ. ბევრი ადგილობრივი მუშაკი, რომელსაც თავბრუ დაახვია მიმდინარე წლის კარგმა მოსავალმა, ფიქრობს, რომ აწი თესვის საქმე თავისთავად მწყობრად წავა, გეგმები თავისთავად შესრულდებაო და საჭიროდ არ სთვლის გადამჭრელ ზომების მიღებას მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის.

ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ოპორტუნისტებს, პოლიტიკურად დაბრმავებულებს და დამპალ ლიბერალებს. ადგილობრივ ორგანიზაციებმა და ცალკე მუშაკებმა მტკიცედ უნდა შეიგნონ, რომ სწორედ ახლაა საჭირო მთელი ძალების მობილიზაცია და მშრომელი მასების საწარმოო ენტუზიაზმის ახალი ტალღების გამოწვევა იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები, საბოლოოდ აღმოვფხვრათ კულაკური და კონტრ - რევოლუციური ელემენტების ნაშთების საბოტაჟი, ორგანიზებულად, ჩავატაროთ თესვა და მომავალ წელს უზრუნველვყოთ კიდევ უფრო მეტი მოსავლის მიღება, ვინემ მიმდინარე წელს.

საჭიროა ახლავე ხვნის, თესვის, და სარემონტო კამპანიის ტემპებისა და ხარისხის შეუსუსტებლად მივიღოთ გადამჭრელი ზომები საშემოდგომო კამპანიის სათესლე მასალით უზრუნველყოფისათვის. საჭიროა ამასთანავე ახლავე შევუდგეთ გამოყოფილი სათესლე ფონდების ხარისხის შემოწმებას, პირველ ხარისხოვანი ჯიშების შერჩევას და მისი აღმოცენების უნარის გულდასმით შესწავლას.

ძირშივე უნდა აღიკვეთოს სათესლე მასალის გაწმენდის და შეწამვლის შეუფასებლობა. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ თესლი წინასწარ გაიწმინდოს გამნიავებელ-დამხარისხებელზე, მერე ტრიერზე, და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს მისი შეწამლა.

სოფლის საბჭოებმა დაუყონებლივ უნდა შეამოწმონ სათესლე ფონდების შეგროვებისა და შეწამლის მდგომარეობა ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით. უნდა მოეწყოს სათესლე მასალის გამწმენდი სტაციონალური და მოძრავი პუნქტები სათესლე მასალის გაწმენდის და შეწამლის ჩასატარებლად. ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნეს სოფლის მთელი აგრო - პერსონალი, კომკავშირი და მოსწავლეობა. უნდა მოეწყოს ტრიერების დატარება, სოფელ-სოფელ, კარდაკარ იმისათვის, რომ არც ერთი კოლმეურნეობის და მშრომელ ერთპიროვნული მეურნის სათესლე მასალა არ დარჩეს გაუწმენდავი.

სადღეისო საბრძოლო ლოზუნგია — უზრუნველყავით ჯიშიანი, გაწმენდილი და მაღალხარისხოვანი თესლით თითეული ჰექტარი.

გორის რაიონში არ იცავენ თესვისათვის მზადების ვადებს

(„კომუნისტი"-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის მზადების პერიოდი იწურება. 20 სექტემბერს გორის რაიონის კოლმეურნეობები და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობები მიღებული გეგმების თანახმად უნდა შეუდგნენ მასობრივად თესვას.

*

მიმდინარე წლის შემოდგომაზე გორის რაიონში ყველა კულტურები უნდა დაითესოს სულ 17.968 ჰექტარზე. აქედან კოლმეურნეობებში 7207 ჰექტ. ერთპიროვნულ მეურნეობებში 10.761 ჰექტარი.

აქედან პური 17.346, ხოლო ქერი 433 ჰექტარზე.

რაიონულ აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების მიერ (გამგე კს. სტეფანოვი) თესვას გეგმების დაყვანა უმთავრესად მასების მონაწილეობის გარეშე მოხდა. კოლმეურნეობების საწარმოო გეგმებში, რაიმიწგანის მიერ არ იყო შეტანილი აუცილებელი დაზუსტებანი და ცვლილებები.

რაიმიწგანში 13 სექტემბრისათვის არ მოიპოვებოდა სრული ცნობები კულაკურ მეურნეობებზე თესვის მტკიცე დავალებათა განრიგების ჩაბარების შესახებ.

სკრის სას. საბჭოში კულაკი გაბესაშვილი საბოტაჟს იწყებს და აცხადებს: **რაც მე მინდა, იმას დავთესავ, თქვენი გეგმა-განრიგი ჩემთვის კანონი არ არისო.** გაბესაშვილის გათამამება გამოწვეულია იმით, რომ მას სას. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **შაქრო თომაშვილი „სწყალობს".**

თესლი არც შეგროვილია, არც გაწმენდილი.

სათესლე ფონდების შეგროვების უკანასკნელ ვადად რაიონში დაწესებული იყო 25 აგვისტო. **10 სექტემბრისათვის კი მთელ რაიონში სათესლე ფონდების შეგროვების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 69 პროცენტით.** კოლმეურნეობებში შეგროვილია **ხორბალი** 10.850 ცენტნერის ნაცვლად 7.538 ცენტნერი, ქერი 329 ცენტნერის ნაცვლად 276 ცენტნერი.

ძალიან ცუდი მდგომარეობაა 15 პროცენტიან და საზღვევი ფონდების შეგროვების საქმეში. **10 სექტემბრისათვის კოლმეურნეობებში შეგროვილია ხორბალი 851 ცენტნერი, ნაცვლად 2468 ცენტნერისა, გეგმის 36 პროცენტი, ერთპიროვნულ მეურნეობებში—139,85 ცენტნერი, ნაცვლად 3859 ცენტნერისა, გეგმის 4 პროცენტი.**

სათესლე ფონდების შეგროვებაში **ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა აიხსნება იმით რომ რაიმიწგანს, და ადგილობრივ პარტიულ** საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს არ **გაუშლიათ** ორგანიზატორული და **პოლიტიკური მუშაობა** სათესლე მასალის დროზე შეგროვების მნიშვნელობის გასარკვევად. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრით ერთპიროვნულ მეურნეობებში. 10 სექტემბრისათვის ერთპიროვნულ მეურნეობებში **შინდისის და ატენის** სას. საბჭოს 15 პროც. დასაზღვევი ფონდი **სრულიად არ ჰქონიათ შეგროვილი.** შინდისის სას. საბჭოს თავმჯდომარე გაბდიაშვილი აცხადებს: **15 პროც. დასაზღვევი ფონდის შეგროვების გამოცდილება ჩვენ არ გვქონია და ახლა ძალიან გვიძნელდება ამ ფონდის შეგროვებაო.**

სავსებით არ აქვს თესლი შინდისის ორ კოლმეურნეობას. აკლია 180 ფუთი თესლი აგრეთვე ტყვიავის კოლმეურნეობას.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა თესლის გაწმენდის და შეწამვლის საქმეში. 10 სექტემბრისათვის კოლმეურნეობებში გაწმენდილია სათესლე ხორბალი 5427 ცენტნერი გეგმის 50 პროცენტი, ქერი 24 ცენტნერი, გეგმის 8 პროცენტი, შეწამლულია პური 1836 ცენტნერი, გეგმის 17 პროცენტი. სკრის სას. საბჭოში (სოფ. კოშკები) ერთპიროვნულმა მეურნეებმა თესლი „გაწმინდეს" პრიმიტიული წესით რის გამოც თესლი დანაგვიანებულია. სას. საბჭოს პრეზიდიუმის წევრის **შ. თომაშვილის** აზრით, ხელით გაწმენდილი თესლი კიდევაც სჯობს ტრიერით გაწმენდილს", ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი **შინდისის, ტყვიავის და ხიდისთავის სას. საბჭოებშიაც.**

მეთესლეობის საარაიონთაშორისო კანტორას 14 სექტემბრისათვის შემოტანილი არ ჰქონდა ჯიშიანი თესლი **„კოოპერატორკა"**, ხოლო სას. საბჭოებს დაწყებული არ ჰქონდათ ჯიშიანი თესლის **„უკრაინკას"** შეგროვება, (გადაცვლა).

ინსტრუქციის ძალით...

სას. საბჭოები და ცალკე კოლმეურნეობები სჩივიან სათესი მანქანების, ტრიერების, ზიგზაგების და ცხენის გუთნების ნაკლებობაზე. „სელხოზსნაბის" გორის განყოფილებაში კი... **10 ცალი ტრიერი 3 ცალი მწკრივად სათესი, 21 ცალი** თეფშებიანი ფარცხი, ტრაქტორის გუთნები და სხვა ღლისაც ღია ცის ქვეშ უპატრონოდ ყრია.

— **„ინსტრუქციის ძალით ეს დასაშვებიაო"**. ლაპარაკობს განყოფილების გამგე **ხოზზერიძე** და იგი დღემდე არავითარ ზომებს არ იღებს მანქანა-იარაღების შესანახად.

რაიონს აკლია 30 ცალი მწკრივასათესი მანქანა, 2000 ცალი ცხენის გუთანი, ტრიერები, მაგრამ „სელხოზსნაბის" გორის განყოფილება ნაკლებად ზრუნავს.

„ორ ცეცხლს შუა"

იმის გამო, რომ რაიონის მთელ რიგ სას. საბჭოებში მუშა - პირუტყვი არა რაციონალურად არის გამოყენებული, ხვნა ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს.

აღნიშნული რიცხვისათვის სამარცხვინოდ იყვნენ ჩამორჩენილი, სკრი ქვემო ახალსოფლის, გორის, ქვეშის და ატენის სას. საბჭოები. ატენის სას. საბჭოს (საბჭოს თავმჯდომარე **ოლურიძე**) კოლმეურნეობა „1 მაისს" (თავმჯდომარე ს. ალდგომელაშვილი) მოხნული ჰქონდა მხოლოდ ნახევარი ჰექტარი, ქვემო ახალსოფელს — გეგმის 21 პროცენტი.

მთელი რიგი სას. საბჭოები, (ტყვიავის ატენის მეჯვრის ხევის და სხვა) მუშა - პირუტყვის უმეტეს ნაწილს იყენებენ ხილის გადასაზიდათ; მაგ.: ტყვიავის სას. საბჭოს თავმჯდომარემ: **წინაძემ განაცხადა: რა ვქნა, არ ვიცი, ორ ცეცხლს შუა ვარ. მუშა-პირუტყვი ხილის გადასაზიდად მჭირდება და ხვნა - თესვისათვისაც რომელი ვამჯობინო, ვერ გამიგია.**

ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ რაიმიწგანმა და სამანქანო სატრაქტორო სადგურმა ვერ გაიგეს და ვერ შეასრულეს პარტიის დირექტივა იმის შესახებ, რომ **ხვნა უნდა დაწყებულიყო მოსავლის აღებისთანავე.**

თესვა მამაპაპური წესით

ზოგიერთ სას. საბჭოში (შინდისი, ვარიანი და ტყვიავი) რომლებიც ხვნის საქმეში შედარებით სხვა სას. საბჭოებთან წინ მიდიან, დაიწყო თესვა. მაგრამ საქმე ისაა, რომ აღნიშნულ სას. საბჭოებში, პარტიის დირექტივა თესვის მწკრივად ჩატარების შესახებ — ირღვევა. ასე, მაგალითად შინდისის სას. საბჭოში (საბჭოს თავმჯდომარე გაბდიაშვილი) **5 ჰექტარი დათესილია ხელით,** მობნევის წესით, **ტყვიავის სას. საბჭოში (თავმჯდომარე წიწვიძე).** მობნევით დათესილია 11 ჰექტარი. ერთპიროვნულმა მეურნეებმა **შეუწამლავი თესლი დათესეს ტყვიავში 1 ჰექტარზე, ვარიანში 2 ჰექტარზე** და სხვ.

ამგვარად, საშემოდგომო თესვის მზადების მთელ რიგ პასუხსაგებ უბნებზე გორის რაიონში ჩვენს საქმე გვაქვს სერიოზულ გარღვევასთან.

საჭიროა ახლავე, სანამ არ დაგვიანებულა, მთელი ძალების მობილიზაცია ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად, ხვნის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად და თესვის კალენდარული ვადების დასაცავად.

შ. რობაქიძე.

საშემოდგომო თესვის სამუშაოები 10 სექტემბრისათვის

დამზღვევი ფონდების გამოყოფა

საგაზაფხულო კულტურების დამზღვევი ფონდი გამოყოფილია სულ 947 ცენტნერი, შესრულებულია გეგმის 2,5 პროც. აქედან კოლმეურნეობებს გამოყოფილი აქვთ 613 ცენტნერი გეგმის 5,5 პროც., ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებს—334 ცენტნერი—1,3 პროც.

საშემოდგომო კულტურების დამზღვევი ფონდი გამოყოფილია სულ 9629 ცენტნერი გეგმის 16 პროც. კოლმეურნეობებს საშემოდგომო კულტურების დამზღვევი ფონდი გამოყოფილი აქვთ 7583 ცენტნერი გეგმის 38,9 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებს—2046 ცენტნერი გეგმის 5 პროც.

სათესლე მასალის გაწმენდა

10 სექტემბრისათვის გაწმენდილი იყო სულ 30324 ცენტნერი საშემოდგომო კულტურების სათესლე მასალა, შესრულებული იყო გეგმის 7,6 პროც. აქედან კოლმეურნეობებს გაწმენდილი ჰქონდათ 18.996 ცენტნერი, საჭირო რაოდენობის 14,5 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებს — 11328 ცენტნერი—4,2 პროც.

სათესლე მასალის შეწამვლა

სულ შეწამლულია 8955 ცენტნერი პური და ქერის სათესლე მასალა, საჭირო რაოდენობის 2,2 პროც., აქედან კოლმეურნეობებს შეწამლული აქვთ 7260 ცენტნერი 5,6 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებს—1695 ცენტნერი 0,6 პროც.

მზრალად ხვნა

მზრალად მოხნულია სულ 5160 ჰექტარი, გათვალისწინებული ფართობის 5 პროცენტი. აქედან საბჭოთა მეურნეობებში—401 ჰექტარი—5 პროც., კოლმეურნეობებში 3.183 ჰექტარი 8,3 პროც. და ერთპიროვნულ მეურნეობებში 1576 ჰექტარი 2,7 პროცენტი.

ბამბისათვის მზრალად მოხნულია სულ 707 ჰექტარი გეგმის 4 პროც., აქედან კოლმეურნეობებში 306 ჰექტარი 8,4 პროც., საბჭოთა მეურნეობებში 401 ჰექტ. 55,9 პროც.

შაქრის ჭარხლისათვის მზრალად მოხნულია სულ 682 ჰექტ. გეგმის 15,2 პროც., აქედან კოლმეურნეობებში—641 ჰექტ. 16,4 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებში — 41 ჰექტარი 7,1 პროც.

დათესილია

ყველა საშემოდგომო კულტურები დათესილია 878 ჰექტ. გეგმის 0,3 პროც. კოლმეურნეობებს დათესილი აქვთ 242 ჰექტარი 0,3 პროც. საბჭოთა მეურნეობებს —15 ჰექტარი 0,1 პროც. და ერთპიროვნულ მეურნეობებს 620 ჰექტარი 0,4 პროც.

საშემოდგომო პური დათესილია 746 ჰექტარი 0,3 პროც. და საშემოდგომო ქერი 15 ჰექტარი გეგმის 0,1 პროც.

*

ამგვარად საშემოდგომო თესვისათვის მზადების უმთავრეს საპასუხისმგებლო უბნებში ადგილი აქვს გარღვევებს ყველაზე უფრო ჩამორჩენილია დამზღვევი სათესლე ფონდების გამოყოფა. ვადები ამოწურულია გეგმა კი შესრულებულია მხოლოდ 2,5 პროც. ასევე დარღვეულია თესლის გაწმენდის ვადები, თესვა აქა-იქ უკვე დაიწყო, სათესლე მასალის გაწმენდის გეგმა კი შესრულებულია მხოლოდ 7,6 პროც. შეწამლულია კი 2,2 პროც.

მზრალად ხვნის დრო ჯერ კიდევ საკმარისად არის დარჩენილი, მაგრამ ამ დარგში მუშაობის ტემპები, მაინც არ იძლევა გარანტიას ვიფიქროთ, რომ გეგმა შესრულებული იქნება დროზე. საჭიროა მზრალად ხვნის ტემპების ყოველმხრივ გაძლიერება.

რაც შეეხება თესვას, იგი მასიურად უნდა დაიწყოს 15—20 სექტემბრიდან.. ჯერჯერობით კი თესვას შეუდგენ ქართლის და აჭარისტანის რაიონების ცალკე სოფლები და კოლმეურნეობები.

გეგმა არ დაყავთ, თესლი არ იწმინდება

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ახალციხე, 16 სექტემბერი. საშემოდგომო თესვის გეგმები ახალციხის რაიმიწგანმა დაგვიანებით დაიყვანა სასოფლო საბჭოებამდე, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ თესვის გეგმები მაგალითად: **ახალციხის სასოფლო საბჭოში შემავალ სამ კოლმეურნეობას 16 სექტემბრისათვის კი — გეგმები არ ჰქონდათ მიღებული. ამავე რიცხვისათვის აგრეთვე არც ერთ ინდივიდუალურ მეურნეს არ ჰქონდათ ჩაბარებული საშემოდგომო თესვის მტკიცე გეგმა განრიგი.**

რაიონში დაუშვებელი ნელი ტემპებით მიმდინარეობს სათესლე მასალის გაწმენდა და შეწამვლა. რაიმიწგანს თესლეულის გაწმენდაზე და შეწამვლაზე ერთპიროვნულ მეურნეთა ხაზით არავითარი ცნობები არ მოეპოვება. **13 სექტემბრამდე კოლმეურნეობებში 7.952 ცენტნერის ნაცვლად შეწამლული იყო მხოლოდ 150 ფუთი ხორბლის თესლი. რაიონულ ორგანიზაციებმა თუ ეხლავე არ მიიღენ გადამჭრელი ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მოსალოდნელია თესვის ჩატარება გაუწმენდავი და შეუწამლავი თესლეულით, რადგან თესვა რაიონში უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს.**

შედარებით კარგათ მიმდინარეობს საშემოდგომო ხვნა. 15 სექტემბრისათვის მოხნული იყო სულ 3154 ჰექტარი, რაც შეადგენს გეგმის 74 პროცენტს.

ვ. მთვრალაშვილი.

რკინის გზის ტრანსპორტი უნდა მუშაობდეს საათის მექანიზმივით

წავიყვანოთ მატარებელი კუტაფინისებურად

კუტაფინის მეთოდი—რკინისგზელთა ფართო მასებს

რკინის გზელთა ფართო მასების ყურადღების ცენტრში დღეს დისპეტჩერი **კუტაფინია** მოქცეული. მას ბევრი ტრანსპორტელი იცნობს, მისი რეისი პოპულიარული შეიქმნა.

ვინ არის ამხ. კუტაფინი, რა გააკეთა მან?

ამხ. კუტაფინი ჩრდილო-კავკასიის რკ. გზის გროზნოს რაიონის დისპეტჩერია. დისპეტჩერი ხელმძღვანელობს მატარებლების მოძრაობას აწესრიგებს მატარებლების მიმოსვლას წინასწარ შემუშავებულ გრაფიკების მიხედვით, ცდილობს უზრუნველყოს მოძრაობის ცხრილის დაცვა.

რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე სუსტ მხარეს მატარებლების მოძრაობის ცხრილის დარღვევა შეადგენს. ამ მხრივ ტრანსპორტზე სერიოზული გარღვევებია. ასეთი მდგომარეობაა საერთოდ ყველა სახის და განსაკუთრებით ამკრეფი მატარებლების მოძრაობაში.

ამკრეფ მატარებლების როლი მეტად დიდია, მათ გზის გარკვეულ უბანზე უნდა აწარმოონ ადგილობრივი დანიშნულების ტვირთების გადაზიდვა-გადმოზიდვა, დაცლილ ვაგონების შეკრება საველე სადგურებზე და მათი მიტანა საკვანძო სადგურში ეს მუშაობა მეტად რთულია და მოითხოვს, დროს, რადგან იგი დაკავშირებულია სამანევრო მუშაობასთან სადგურებში.

ამკრეფ მატარებლებს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ხშირად შეხვდებით საველე სადგურებში საათობით უსაქმოდ გაჩერებულ ამკრებ მატარებელს. ზოგ სადგურის მორიგეს არ მოუვა აზრად დროზე გაისტუმროს ამკრეფი მატარებელი შემდეგ სადგურისაკენ, მატარებლის ბრიგადაც შეჩვეულია ამ „წესს" და არ იჩქარის. ასეთ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ამკრეფ მატარებლებისადმი დიდი ზიანი მოაქვს, როგორც ტრანსპორტის, ისე ტვირთების გამგზავნელებისა და მიმღებთათვის.

ა-კ. რკ. გზ. მე-2 რაიონის დისპეტჩერი ამხ. ჩაკვეტაძე

ვინ უნდა იბრძოლოს ტრანსპორტზე შექნილ ამ მავნე, კონსერვატიულ ტრადიციის წინააღმდეგ?

ცხადია ყველამ, პირველ რიგში კი სადგურის მორიგემ და მატარებლის ბრიგადის წევრებმა (მემანქანე კონდუქტორი მზეთავი) მაგრამ განსაკუთრებით ეკისრება ეს ამოცანა მოძრაობის კომანდირს დისპეტჩერს, რომელმაც ნამდვილი ბრძოლა უნდა გააჩაღოს წესიერი მოძრაობისათვის.

ამ ბრძოლის პირველ მაგალითს იძლევა სწორედ დისპეტჩერი კუტაფინი. მან პირველმა მისცა რკინის გზელებს ახალი წესით მუშაობის, ამკრეფ მატარებლის წესიერად წაყვანის ნიმუში.

დისპეტჩერ კუტაფინის პირველი რეისი

ეს მოხდა აგვისტოს პირველ რიცხვებში, ჩრდ. კავკასიის რკ. გზ. გროზნოს რაიონის დისპეტჩერებმა გადაწყვიტეს საქმით ნამდვილი დამკვრელური მუშაობით, ეპასუხნათ საკ. სახკომსაბჭოს და ც. კ-ის ისტორიულ დადგენილებებზე. მათ აიღეს გზის ყველაზე ძნელი უბანი: **გუდერმესი—პროხლადნაია** და წამოაყენეს წინადადება,— ამ უბანზე ამკრეფი მატარებლები ეტარებინათ 18. ნახევარი საათის განმავლობაში ნაცვლად 24—30 საათისა. კონდუქტორები უარზე დადგნენ, მათ საძნელოთ მიიჩნიეს ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება. იმ მოტივით, თითქოს შეუძლებელი ყოფილიყო ამ წამოწყების განხორციელება—დისპეტჩერები კი მტკიცედ იცავდნენ თავის წინადადებას.

დისპეტჩერებსა და კონდუქტორებს შორის გაცხარებული კამათი იყო, როდესაც წამოდგა ამხ. **კუტაფინი** და განაცხადა —„მე დავამტკიცებ, რომ აქ შეუძლებელი არაფერია, მუშაობისაგან თავისუფალ დროს გავყვები ამკრებ მატარებელს ამ უბანზე და ჩავიყვან მას პროხლოდნაიაში 15 საათში.

ამ გაბედულმა განცხადებამ სხვა დისპეტჩერებიც კი გააკვირვა, მაგრამ სულ მალე კუტაფინმა **საქმით** დაამტკიცა თავის განცხადების სისწორე.

5 აგვის. ჩავიდა იგი გუდერმესში, შეკრიბა კონდუქტორები და აცნობა მათ თავისი განზრახვა აქაც კონდუქტორთა ირონია გამოიწვია დისპეტჩერის ამ გადაწყვეტილებამ. კუტაფინმა ვერ მონახა მოხალისენი კონდუქტორთა შორის, რომლებიც გაჰყვებოდენ მას საცდელ მატარებელზე, მაშინ ამხ. კუტაფინმა აირჩია ჩვეულებრივი მატარებელი, რომელიც უნდა გასულიყო სადგურიდან რიგის მიხედვით და გაჰყვა მას.

კუტაფინის სიტყვა გამართლდა. მატარებელი, რომელიც დაიძრა გუდერმესიდან ცხრილის თანახმად ღამის 11 საათსა და 50 წუთზე. პროხლადნაიაში ჩავიდა მეორე დღის 1 საათსა და 45 წუთზე. მთელი გზა გუდერმესიდან პროხლადნაიამდე, ყველა სამანევრო ოპერაციებით შუალედ სადგურებზე, ამკრეფ მატარებელმა კუტაფინის ხელმძღვანელობით გაიარა 13 საათის და 55 წუთის განმავლობაში.

— არავითარი განსაკუთრებული და არა ჩვეულებრივი ხერხები არ გამომიყენებია—უპასუხებდა კუტაფინი შეკითხვებზე დაინტერესებულ ამხანაგებს. ჩემი ამოცანა იყო მეჩვენებია მატარებლის ბრიგადისა, მზეთავებისა და მემანქანეებისათვის, რომ მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი და პატიოსანი დამოკიდებულების პირობებში ისინი შეასრულებენ მოძრაობის ყველა წესს, დაიცავენ მოძრაობის ცხრილს.

საჭიროა,—განაგრძობს ამხ. კუტაფინი, რომ ადამიანებმა კეთილსინდისიერად იმუშაონ და ულაპარაკოდ შეასრულონ ყველა დაწესებული წესი. მე მთავარ კონდუქტორს უჩვენე, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელოს მგზავრობას. ეხლა, დაე მან თვით სცადოს ასე, საქმით უპასუხოს მთავრობის და პარტიის დადგენილებებს.

როგორ მოახერხა კუტაფინმა თავისი დაპირების შესრულება? გუდერმესიდან წასვლის წინ მან მატარებლის ბრიგადას აუხსნა ამოცანა, განაწილა ძალები. მთავარი [illegible] ჰქავა ადგილი პირველ ვაგონზე ორთქლმავალთან; საუკეთესო კონდუქტორები მოთავსდენ მუხრუჭებზე, მზეთავები საცხები მასალით—შემადგენლობის შუაში.

— გაჩერებას, რომ არ ექნეს ადგილი, ყველაფერი თავის დროზე უნდა კეთდებოდეს,—ასწავლიდა ბრიგადას ამხ. კუტაფინი და მართლაც ყველაფერი თავის დროზე კეთდებოდა.

დისპეტჩერი ამხ. კუტაფინი

ამხ. კუტაფინმა თავის პირველ რეისით უჩვენა რკინის გზელებს ნამდვილი, ბოლშევიკური მუშაობის ნიმუში და დაამტკიცა, რომ სოციალისტურ ტრანსპორტს შეუძლია იმუშაოს ზუსტად და ნორმალურად თუ ადამიანები საქმეს პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად მოეკიდებიან.

პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდა"-მ, პირველმა მიაქცია ყურადღება კუტაფინის რეისს და ურჩია რკინის გზის ტრანსპორტის სხვა უბნებს ამ მეთოდის ფართოდ გამოყენება.

კუტაფინელები ა-კ რკ. გზიდან

კუტაფინის მეთოდმა კიდეც ჰპოვა შესაფერი გამოხმაურება ამ.-კავკ. რკ. გზაზე. პირველი მას ა.-კ. რკინის გზის მეორე რაიონის დისპეტჩერები ამხ. **ჩაკვეტაძე** და **არზიანი** გამოეხმაურენ. ამხ. ჩაკვეტაძე პირველმა წაიყვანა ამკრები მატარებელი ტფილისიდან—ხაშურამდის, ხოლო ამხ. არზიანმა ტფილისიდან — აქსტაფამდის.

ჩვენი გზის კუტაფინელების ცდაც ბრწყინვალედ დამთავრდა. ამკრეფი მატარებლები მათ დანიშნულ ადგილას მიიყვანეს უფრო მოკლე დროში, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მოძრაობის ცხრილში.

ამგვარად, უკვე წამოიჭრა საკითხი ამკრეფ მატარებლების მოძრაობის ცხრილის გადასინჯვის შესახებ.

ამ.-კავკ. რკინის გზელებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ მოწინავე დისპეტჩერების გამოცდილება. ამხ. **კუტაფინის, ჩაკვეტაძის** და **არზიანის** მაგალითის მიხედვით, ყველა რკინის გზელი უნდა დაირაზმოს მუშაობის მაღალი ხარისხისათვის საბრძოლველად. **„მოვნახოთ ათასი კუტაფინები, მოწინავეთა მაგალითზე დავეხმაროთ რკინის გზელთა ყველაზე ჩამორჩენილ ფენებს ამაღლდენ ახალ ამოცანათა დონემდის, გადავაქციოთ შეჯიბრება მთელ რკინისგზელ პროლეტარიატის საქმედ"** („პრავდა").

ა. ქ.

*

17 სექტემბერს, ჩრდილოეთ კავკასიის რკინის გზების დისპეტჩერ ამხ. კუტაფინის ტფილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით „ზარია ვოსტოკას" რედაქციაში შესდგა რედაქციის მუშაკთა თათბირი ა.-კ. საგზაო კომიტეტის, პოლიტგანყოფილების, ა.-კ. რკ. გზების მეორე რაიონის რაიპროფსაბჭოს დისპეტჩერების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თათბირზე გამოსულმა ამხ. კუტაფინმა მოუთხრო დამსწრეთ თუ როგორ გავრცელდა მისი მუშაობის გამოცდილება ჩრდილოეთ კავკასიის რკინის გზების მუშაკთა ფართო მასებში.

გროზნოდან დაბრუნებისას,—ამბობს ამხ. კუტაფინი,—მე გავუზიარე დისპეტჩერებს ჩემი მუშაობის გამოცდილება, რის შემდეგ საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკთა კრებაზე გავაკეთე მოხსენება ჩემი მგზავრობის შესახებ. ასეთი კრებები და თათბირები ჩატარდა გზის დანარჩენ რაიონებშიც.

გეგმიანად მატარებელთა შედგენასა და გაგზავნაში მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო დისპეტჩერებმა, არამედ ყველა საინჟინერო-ტექნიკურმა მუშაკმა გზის ყველა მუშაკმა.

თათბირის მონაწილეებმა, მიესალმენ რა ამხ. კუტაფინის ჩამოსვლას, განაცხადეს, რომ მისი მეთოდების და მუშაობის გამოცდილების ფართოდ გამოყენებით ამიერ-კავკასიის რკინის გზა მიაღწევს მოძრაობის გრაფიკის ზუსტად შესრულებას.

თათბირმა გადასწყვიტა გამოიყენოს ამხ. კუტაფინის ჩამოსვლა ამიერ-კავკასიაში და მისი პირადი ხელმძღვანელობით მოაწყოს მთელი რიგი საცდელი რეისები ნაკრებ და მშრალ ტვირთიან მატარებლებით.

ამხ. კუტაფინის მეთოდების და გამოცდილების პოპულიარიზაციის და დანერგვის მუშაობის კონკრეტული გეგმის შესადგენად თათბირმა აირჩია სპეციალური კომისია, რომელშიაც შევიდნენ ა.-კ. რკინის გზების პოლიტგანყოფილების, „ზარია ვოსტოკას", ა.-კ. რკ. გზების საგზაო კომიტეტის, გზის სამმართველოს და დისპეტჩერთა წარმომადგენლები.

ამხ. კუტაფინი ამიერ-კავკასიაში დარჩება 15 დღემდე.

დისპეტჩერი კუტაფინი ტფილისში

ამხ. „ზარია ვოსტოკა"-ს მოწვევით, გუშინ ტფილისში ჩამოვიდა ჩრდილოეთ - კავკასიის რკ. გზის გროზნოს რაიონის მოწინავე დისპეტჩერი ამხ. კუტაფინი.

კუტაფინის ჩამოსვლის მიზანია დისპეტჩერთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა და გამოცდილებათა სოციალისტურ გაზიარების მოწყობა.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა აგრეთვე საკითხი ამ.-კავკასიის და ჩრდილო - კავკასიის რკინის გზებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ მთავრობის და პარტიის დადგენილებ[illegible] უკეთესად შესრულებაზე.

საზოგადოებრივი სასამართლო

რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდების საქმეზე

გრჟეზინსკის დაკითხვა

ლონდონი, 16 სექტემბერი. რეიხსტაგისათვის ცეცხლწაკიდების საქმეზე მოწვეულ საზოგადოებრივ სასამართლოს 15 სექტემბრის დილის სხდომაზე დაკითხულ იქნა ბერლინის ყოფილი პოლიცეი-პრეზიდენტი გრჟეზინსკი. მისი ჩვენებიდან ნათელი ხდება, რომ რეიხსტაგს ზედმიწევნით იცავდენ და რომ სულ მცირე განგაშის დროსაც კი ადგილზე დაუყოვნებლივ გაჩნდებოდა ასობით პოლიციელი ზომების მისაღებად. 1.500 კაცის დაპატიმრების შესახებ, რაც ჩატარებულ იქნა 27 თებერვლის საღამოდან 28 თებერვლამდე, გრჟეზინსკიმ განაცხადა, რომ ამისათვის მანდატების დამზადებას და ფოტოსურათების შოვნას სულ მცირე 2—3 დღე დასჭირდებოდა. ამგვარად, დასტურდება, რომ ეს დაპატიმრებანი ცეცხლწაკიდებამდე იყო მომზადებული. გრჟეზინსკი აშკარა კმაყოფილებით ეხება იმ ზომებს, რომლებსაც იგი ღებულობდა კომუნისტების წინააღმდეგ პოლიცეი-პრეზიდენტად ყოფნის დროს, კერძოდ ეხება კომპარტიის შენობაში 1931 წლის აგვისტოს მოხდენილ გაჩხრეკას. გამოირკვა, რომ გრჟეზინსკის პოლიციამ, რომელსაც კომპარტიის შენობა 14 დღეს ეკავა, შეადგინა შენობის ნახაზები. ნაციონალ-სოციალისტების ინფორმაციას იმის შესახებ, ვითომ ამ შენობას ჰქონდეს „საიდუმლო მიწისქვეშა სადგომები" და ვითომ აღმოეჩინოთ პოლიციისათვის უცნობი ლიტერატურა, გრჟეზინსკიმ „ზღაპრები" უწოდა (ადს).

საფრანგეთის პრესა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 16 სექტემბერი. „იზვესტიას" საკუთარი კორესპონდენტი იუწყება:

„ერიოს მოგზაურობა და პიერ კოტის ახლანდელი გამგზავრება საბჭოთა კავშირში იწვევენ პრესის გაცხოველებულ მსჯელობას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის, კერძოდ ეკონომიკის დარგში ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ. დამახასიათებელია, რომ მსხვილი მრეწველობის ორგანო „ჟურნალ ენდუსტრიელი" წერს:

„პრინციპულად საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი არ ეკიდება მტრულად არავითარ მოლაპარაკებას. ჩვენ ვერ შევძლებთ ურთიერთობის გაგრძელებას ჩვენს საბჭოთა კლიენტებთან (ჩვენ საბჭოთა კავშირიდან შემოგვაქვს ნავთი და ხე-ტყე) სერიოზულ კონტრგარიგებათა გარეშე, რომლებისათვისაც მოიპოვება საკმაოდ დიდი შესაძლებლობანი. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მანქანების დიდ მომხმარებელს. მიმდინარე წლის დასაწყისს ახასიათებს მანქანების და მეტალურგიული მრეწველობის პროდუქტების ექსპორტის განახლება საბჭოთა კავშირში. ამიტომ ექსპორტს უნდა მიეცეს განვითარების საშუალება" (ადს).

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საფრანგეთის ავიაციის მინისტრი პიერ კოტი

პიერ კოტი ხარკოვში

ხარკოვი, 14 სექტემბერი. 14 სექტემბერს საფრანგეთის ავიაციის მინისტრ პიერ კოტის და მისი თანამგზავრების პატივსაცემად უკრაინის და ყირიმის შეიარაღებულ ძალთა სარდლის თანამდებობის აღმასრულებელმა ამხ. კუჩინსკიმ გამართა საუზმე. ბანკეტზე ერთმანეთს მიესალმენ ამხ. კუჩინსკი და პიერ კოტი.

მეორე დღეს ფრანგმა სტუმრებმა დაათვალიერეს ძერჟინსკის სახელობის შრომის კომუნა და უკრაინის წითელი არმიის სახლი.

15 სექტემბერს, 1 საათსა და 30 წუთზე, თვითმფრინავებმა, რომლებშიაც ისხდენ სტუმრები, გარს შემოუარეს აეროდრომს და აიღეს კურსი მოსკოვისაკენ (ადს).

საფრანგეთის ავიაციის მინისტრი ჩავიდა მოსკოვს

მოსკოვი, 16 სექტემბერი. 15 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდნენ საფრანგეთის ავიაციის მინისტრი პიერ კოტი და მისი თანამგზავრები. აეროდრომზე სტუმრებს დახვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი, სამხედრო-საჰაერო ძალთა მთავარ სამმართველოს უფროსი ალკსნისი, საფრანგეთის ელჩი ალფანი, სამხედრო ატაშე მანდარასი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი კორკი, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები, საფრანგეთის საელჩოს მოხელეები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. ამხ. ლიტვინოვთან, ალკსნისთან, ალფანსა და უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებთან ურთიერთ მისალმებების შემდეგ პიერ კოტიმ მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი. შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქში (ადს).

რატიფიცირებულია კონვენცია აგრესორის განმარტების შესახებ

ვარშავა, 16 სექტემბერი. 15 სექტემბერს პრეზიდენტმა მოსციცკიმ დაამტკიცა საბჭოთა კავშირისა, პოლონეთისა, ესტონეთისა, ლატვიისა, რუმინეთისა, თურქეთისა, სპარსეთისა და ავღანისტანს შორის ლონდონში დადებული კონვენცია თავდამსხმელი მხარის განსაზღვრის შესახებ (ადს).

მაქს ჰელცის დაღუპვა

გორკი, 16 სექტემბერი. მდინარე ოკაზე ნავით სეირნობის დროს კანავინის ხიდთან 15 სექტემბერს, საღამოს დაიღრჩო ცნობილი გერმანელი კომუნისტი მაქს ჰელცი. მაქს ჰელცის დაკრძალვა მოხდება გორკიში 18 სექტემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოცშეჯიბრება საქართველო-აზერბეიჯანი

აჭარისტანის ბოლშევიკები იბრძვიან პირველობისათვის

პარტსწავლების შემოდგომა-ზამთრის ქსელის საუკეთესოდ მოწყობაში

პროპაგანდისტი ამხ. დ. კოხრეიძე.
ამხ. დელარბი.
ამხ. ი. დიასამიძე (ქვედა-ცხმარიხი).
ამხ. დ. ქაროსანიძე (ხულო).
ამხ. კირვალიძე.

ლენრაიონის რაიკომის გამოწვევას ვღებულობთ

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომს.
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილებას.
„კომუნისტი"-ს რედაქციას.

საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომი ღებულობს თქვენს გამოწვევას 1933—34 წ. შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების მოსამზადებელ მუშაობის საუკეთესოდ ჩატარებაზე და თავის მხრივ გიწვევს თქვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების უკეთესად ჩატარებაზე.

ვღებულობთ რა თქვენს გამოწვევას, შეგვაქვს შემდეგი შესწორებები:

1. მთელ მოსამზადებელ მუშაობას შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლებისათვის ვამთავრებთ 13 სექტემბერს.
2. პარტგანათლების მთელ ქსელში მეცადინეობას ვიწყებთ 14 სექტემბერს.
3. მუშა-პროპაგანდისტების შემადგენლობას შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების მთელ ქსელში ავიყვანთ 50 პროც.

თავის მხრივ სოცხელშეკრულებაში ვაყენებთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. სავსებით და დროზე დავასრულოთ პროგრამები შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების ქსელის ყველა ტიპის სკოლებში და წრეებში.
2. შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების მსმენელების მიერ პროგრამების ხარისხის ათვისების მაჩვენებლად ვაყენებთ შემდეგს: კარგად დასრულებულის —35 პროც. დამაკმაყოფილებლად — 50 პროც.
3. პარტგანათლების ქსელში პარტსწავლების ხარისხის გასაღრმავებლად და შესამოწმებლად მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ჩავატაროთ ორი თეორეტიული კონფერენცია და 2 პოლიტბრძოლა.
4. რეგულიარულად პროგრამის ყოველი თემის მიხედვით ჩავატაროთ პროპსემინარი. მეცადინეობაზე არ დაუშვათ არც ერთი პროპაგანდისტი, თუ მან არ გაიარა სემინარი, ან დაწვრილებით ინდივიდუალური კონსულტაცია დასამუშავებელ თემის მიხედვით.
5. მსხვილ წარმოებებში სასწავლო პერიოდის განმავლობაში ჩავატაროთ, ორ-ორი მეთოდ-კონფერენცია და ერთიც — საერთო საქალაქო.
6. კონკრეტულად უხელმძღვანელოთ და ყოველმხრივ დავეხმაროთ კომკავშირის შემოდგომა-ზამთრის პოლიტქსელს მათი უზრუნველყოფით 50 პროცენტით კომუნისტ პროპაგანდისტებით.
7. პარტქსელის ყველა სკოლები და წრეები და აგრეთვე ცალკეული პარტორგანიზაციები ჩავაბათ სოცშეჯიბრებაში და დამკვრელობაში და ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ სოცხელშეკრულების შესრულება.
8. საქ. კ. პ (ბ) აჭაროლქკომის პარტმუშაობის კაბინეტთან და წარმოებათა პარტმუშაობის კაბინეტთან მოვაწყოთ მუდმივი კონსულტაციები პარტსწავლების ყველა საკითხებზე.
9. სასწავლო წლის შეჯამების მიზნით შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების დასრულებისას ჩავატაროთ საოლქო კონფერენცია და გამოვუშვათ ბიულეტენი „მარქსისტულ-ლენინურ სწავლებისათვის".

თქვენს მიერ წამოყენებულ არბიტრს — საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპს და გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას — ვღებულობთ.

საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის მდივანი შ. ლორთქიფანიძე
კულტპროპგანყოფილების გამგე გ. სულუხია

პირველი მეცადინეობა ჩავატარეთ 14 სექტემბერს

(რაიკომის კულტპროპგანყოფილების წერილი)

ბათომის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის ბიუროს 2 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე ბოლშევიკურად გაშალა მუშაობა შემოდგომა-ზამთრის მარქსისტულ-ლენინური სწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის. რაიკომთან და მსხვილ უჯრედებთან შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების სკოლების დაკომპლექტებისათვის ჩამოყალიბდა შტაბები შემდეგი მარშრუტებით: საზაფხულო პარტსწავლების სკოლების გამოშვებისა და მათი მუშაობის შეჯამებისათვის პარტგანათლების ქსელის გაშლასთან დაკავშირებით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებისათვის, სკოლების და წრეების დაკომპლექტებისა და პროპაგანდისტთა შერჩევისათვის. შტაბებმა გამოყვეს თვითეული მარშრუტის ხელმძღვანელები. ცალკე უჯრედებში გამოიყო სამეულები საზაფხულო პარტსკოლების გამოშვებისა და შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების სკოლების დაკომპლექტებისათვის.

შემოდგომა-ზამთრის ქსელის დაკომპლექტების დროს მთავარი ყურადღება მიქცეული ჰქონდა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში პარტგანათლების სკოლების ქსელის გაშლის საკითხს.

ისე, როგორც სხვა ყოველდღიურ საკითხებზე, პარტრაიკომის კულტპროპგანყოფილება და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილება აქაც ერთად მუშაობენ.

10 აგვისტოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებასთან ერთად მოვიწვიეთ თათბირი, შემოდგომა-ზამთრის ქსელის გაშლის საკითხზე. აღვრიცხეთ ის კოლმეურნეობანი, სადაც შესაძლებელია პოლიტსკოლების ჩამოყალიბება, შევარჩიეთ პროპაგანდისტები.

12 სექტემბრისათვის ბათომის რაიონში დამთავრდა სკოლების დაკომპლექტება. რაიონში დაკომპლექტებულია სულ 34 სკოლა, აქედან საკანდიდატო 13, დაწყებითი — 5, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე 2, პარტიის ისტორიის შემსწავლელი 5, პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელი წრე 2, სადაც ჩაბმულია 597 კაცი, ამათში პარტიის წევრი 165, კანდიდატი 92, უპარტიო დამკვრელი 340.

საოლქო კომიტეტის მიერ მიღებული საკონტროლო ციფრი შესრულებულია მთლიანად.

საოლქო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად პირველი მეცადინეობა ჩავატარეთ 14 სექტემ. ყველა ტიპის სკოლებში დავამუშავეთ საკითხი პარტიის წესდებისა და პროგრამის შესახებ. ამავე თემის გაგრძელებას დავამუშავებთ მორიგ სამეცადინო დღეებში, 19 და 26 სექტემბერს.

სევ. კობიძე

(სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ —ამხ. გოგიბერიძე, ბათომის ნავთის გადამმუშავებელ მეორე ქარხნის პარტუჯრედის მდივანი, ამხ. ვოსკანიანი, ფეხსაცმელების ფაბრიკის პარტუჯრედის მდივანი, ამხ. ბათმანაძე, წულუხანთა პარტკომის მდივანი, რომელმაც პარტსწავლების საუკეთესო ორგანიზაციისათვის ორჯერ მიიღო საოლქო გარდამავალი დროშა.

როგორ ემზადებიან ბათომის წარმოებები შემოდგომა ზამთრის პარტსწავლებისათვის

(„კომუნისტი"-ს, „საბჭოთა აჭარისტანი"-ს და „ბატუმსკი რაბოჩი"-ს დამკვრელთა რეიდის მასალებიდან)

აჭარისტანის პარტორგანიზაციამ ბოლშევიკურად გაშალა მოსამზადებელი მუშაობა შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების ქსელის გაშლისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მიერ მოცემული საკონტროლო ციფრი— პარტსწავლ. სკოლებში და წრეებში 4.323 კაცის ჩაბმის შესახებ—შესრულდა გადაჭარბებით. ფაქტიურად ჩაბმულია 4972 კაცი; პარტიის წევრი 2063, კანდიდატი— 1023 და უპარტიო აქტივი—1886.

პარტიის საოლქო კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისათვის. საოლქო კომიტეტის განკარგულებაში ამჟამად არის 23 შტატიანი და 160 შტატგარეშე პროპაგანდისტი. 8-დან 13 სექტემბრამდე მიმდინარეობდა შტატიანი პროპაგანდისტების კურსკონფერენცია, სადაც სპეციალურად დამუშავდა ყველა ის საკითხები, რომლებიც დგას პარტსწავლების შემოდგომა-ზამთრის ქსელის წინაშე.

ჯერ კიდევ 10 აგვისტოს ჩატარდა პარტკომების, პარტკოლექტივების და უჯრედის მდივნების, კულტპროპების და პროპაგანდისტების საქალაქო თათბირი პარტსწავლების საზაფხულო სკოლების და წრეების გამოშვების და შემოდგომა-ზამთრის ქსელის დაკომპლექტების საკითხებზე. მსმენელების გამოშვებისათვის ცალკე უჯრედებთან ჩამოყალიბდა სპეციალური სამეულები უჯრედის მდივნის, პროპაგანდისტის და კულტპროპორგანიზატორის / შემადგენლობით. კომისიებმა თვითეულ მსმენელზე შეადგინეს დახასიათებები—წრის ან სკოლის მეცადინეობაზე დასწრების, აქტივობის, გავლილი მასალის შეთვისების ხარისხის მიხედვით. დახასიათებებში კომისიების მიერ აღნიშნულია აგრეთვე ისიც, თუ პარტსწავლების რომელ სკოლაში შეუძლია ამა თუ იმ მსმენელს მეცადინეობის გაგრძელება. ამ მუშაობის ჩატარებამ გააადვილა სკოლების და წრეების დაკომპლექტება.

პარტსწავლების შემოდგომა-ზამთრის ქსელის გაშლასთან დაკავშირებით საოლქო პარტიულ კომიტეტთან მოეწყო პარტკაბინეტი, სადაც ამჟამად მოიპოვება 5000 ცალი წიგნი. კაბინეტთან ჩამოყალიბებულია პროპაგანდისტთა სემინარი და საკონსულტაციო პუნქტი, გამოყოფილია სამეცადინო და სხდომების ოთახები.

ბათომის ნავთის გადამმუშავებელ ქარხნებში

საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა პარტსწავლების შემოდგომა-ზამთრის ქსელის გაშლისათვის 3 აგვისტოს გამოიტანა დადგენილება. ამ დადგენილების საფუძველზე ცალკე საწარმოთა პარტორგანიზაციებმა დაიწყეს მოსამზადებელი მუშაობა. ბათომის ნავთის გადამმუშავებელი ქარხნების პარტკომმა 16 აგვისტოს პარტკომის პლენუმზე დაამუშავა ეს საკითხი. საზაფხულო სკოლების გამოშვებასთან და პარტსწავლების შემოდგომა-ზამთრის ქსელის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით პირველ, მეორე და მესამე ქარხანაში გამოიცა კედლის გაზეთის სპეციალური ნომრები. მოსამზადებელ მუშაობას ოპერატიულად აგრეთვე აშუქებს ადგილობრივი მრავალტირაჟიანი გაზეთი „ნეფტეპერეგონშჩიკი".

პარტსწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის ცალკე უჯრედებთან გამოყოფილ სამეულების ხელმძღვანელობით ჩატარდა წრეებისა და სკოლების დაკომპლექტება.

ნავთის გადამმუშავებელ ქარხნებში 1200 მუშაა, აქედან პარტიის წევრი 108 და კანდიდატი 121. შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ჩამოყალიბებულია საკანდიდატო სკოლა 9, დაწყებითი პოლიტსკოლა 7, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე 5, პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე—2, პარტიის წევრები და კანდიდატები სკოლებში ჩაბმულია მთლიანად.

პარტკომის ბიურომ და საქარხნო ნაბეჭდი გაზეთის „ნეფტეპერეგონშჩიკ"-ის რედაქციამ გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო პროპაგანდისტზე და კულტპროპორგანიზატორზე.

შემოდგომა-ზამთრის სკოლების საუკეთესოდ დაკომპლექტება შეძლო პირველი ქარხნის პარტუჯრედმა. ამ უჯრედის კულტპროპორგანიზატორმა ამხ. გიორგი ლომიძემ ყველა ცვლებში 20-22 აგვისტოს ჩაატარა პარტჯგუფების კრებები უპარტიო მუშათა აქტივთან ერთად, სადაც მოეწყო პროპაგანდისტების საუბრები პარტსწავლების საკითხებზე. 5 სექტემბრისათვის მან დაამთავრა სკოლების დაკომპლექტება, საკონტროლო ციფრი 27 უპარტიო დამკვრელის ჩაბმის შესახებ შესრულდა გადაჭარბებით. პარტსწავლების ქსელში ამხ. ლომიძემ უზრუნველყო 43 უპარტიო დამკვრელის ჩაბმა (პარტიის წევრები და კანდიდატები, 43 კაცი, ჩაბმულია მთლიანად).

7 სექტემბერს ამხ. ლომიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა პარტსწავლების სკოლებში ჩაბმული მსმენელთა სპეციალური თათბირი, 10 სექტემბერს-კი მოეწყო ცალკე სკოლების და წრეების მსმენელთა და პროპაგანდისტთა მასობრივი შეხვედრა.

პირველი ქარხნის პარტუჯრედს არ ჩამორჩება მეორე ქარხნის უჯრედიც. გასულ წელს შემოდგომა-ზამთრის და საზაფხულო სკოლების თვითეულ მსმენელზე უჯრედ. სამეულს შედგენილი აქვს დახასიათება, რის საფუძველზე ჩატარდა დაკომპლექტება. მეორე ქარხანაში ჩამოყალიბდა 3 საკანდიდატო სკოლა, ორი დაწყებითი პოლიტსკოლა და 2 მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე, სადაც ჩაბმულია პარტიის წევრ-კანდიდატები მთლიანად (56 კაცი,), უპარტიო აქტივი 36, ამ უჯრედის კულტპროპორგანიზატორის ამხ. პეტრე პოდოპრიგოვსკის ხელმძღვანელობით 10 სექტემბერს ჩატარდა სკოლების და წრეების მსმენელთა თათბირი, სადაც დამუშავდა საკითხი პარტსწავლების შემოდგომა-ზამთრის ქსელის ამოცანების შესახებ.

14 სექტემბერს პარტგანათლების სკოლებში ჩატარდა პირველი მეცადინეობა.

მაგრამ, მიუხედავად მოსამზადებელი მუშაობის დამაკმაყოფილებლად ჩატარებისა, ქარხნებში პარტსწავლების ქსელს ჯერ კიდევ არა აქვს შექმნილი მუშაობის ნორმალური პირობები. სკოლებს არ მიეპოვებათ სახელმძღვანელო ლიტერატურა. არ არის არც მეთოდიური მითითებები და პროგრამები. ზოგიერთ სკოლას აგრეთვე არა აქვს გამონახული სამეცადინო ბინა (მესამე ქარხანა).

წულოსნებთან

აქ მოსამზადებელი მუშაობა 5 აგვისტოდან დაიწყეს. უკვე შერჩეულია პროპაგანდისტები (22 კაცი). მოწყობილია პარტკაბინეტი. წულოსანთა სამმართველოს სომეხ მუშებისათვის შეძენილია ლიტერატურა სომხურ ენაზე, ჩამოყალიბებულია საკანდიდატო 3 და დაწყებითი პოლიტიკის შემსწავლელი 5 სკოლა, მიმდინარე პოლიტიკის 4 და პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე ერთი, სადაც ჩაბმულია 271 კაცი (აქედან 116 კანდიდატი, პარტიის წევრ-კანდიდატთა 100 პროც.). სკოლების და წრეების დაკომპლექტებას საფუძვლად დაედო მსმენელთა მიმართ დიფერენცირებული მიდგომა.

ბათომის წულოსანთა პარტორგანიზაცია პარტსწავლების ქსელის საუკეთესო მუშაობისათვის საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა ორჯერ დააჯილდოვა საოლქო გარდამავალი დროშით. პარტსწავლების ხარისხის შესამოწმებლად საოლქო კომიტეტის მიერ ივლისში და აგვისტოში მოწყობილ პოლიტბრძოლის დროს წულოსნებმა ორჯერ გაიმარჯვეს.

საზაფხულო პერიოდში მუშაობდა სულ 5 საკანდიდატო, 10 დაწყებითი სკოლა და 3 მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე, სადაც მეცადინეობდა 380 კაცი (მათ შორის 249 კომუნისტი). მეცადინეობაზე დასწრების პროცენტი აყვანილი იქნა 95 პროცენტამდე.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებსაც. მაგ. მეზღვაურთა საკანდიდატო სკოლის მეცადინეობა მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო სამჯერ ჩაიშალა. კოოპერაციის მუშაკთა და ნავთსადგურის სამმართველოს დაწყებითი პოლიტსკოლების მუშაობაც პროპაგანდისტების როგავაძის და ოსიპოვის დაუდევრობით ორჯერ ჩაიშალა, მაგრამ პარტიული კომიტეტის საქმეში ჩარევით გაცდენილი მეცადინეობა აღდგენილ იქნა რიგგარეშე მუშაობის მოწყობით.

ბათომის წულოსანი კომუნისტები გმირულად იბრძვიან იმისათვის, რომ პარტსწავლების შემოდგომა-ზამთრის ქსელის საუკეთესო ორგანიზაციით კვლავ შეინარჩუნონ საოლქო კომიტეტის გარდამავალი დროშა.

რკინის გზის ბათომის კვანძის მოძრაობის დარგში

რკინის გზის ბათომის კვანძის მოძრაობის დარგის პარტუჯრედთან უკვე ჩამოყალიბებულია ერთი საკანდიდატო სკოლა, 2 დაწყებითი სკოლა, ერთი მიმდინარე პოლიტიკის და ერთიც პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე, სადაც ჩაბმულია 146 კაცი (პარტიის წევრი—77, კანდიდატი—18).

ერთიან პარტდღეს, 25 აგვისტოს როდესაც მუშავდებოდა პარტსწავლებისათვის მზადების საკითხი, მოძრაობის დარგის კომუნისტებმა იკისრეს ვალდებულება მატარებელთა მოძრავი შემადგენლობის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველყოფის, დაგვიანების ალმოფხვრის და სოციალისტური საკუთრების ფხიზლად დაცვის შესახებ.

მოძრაობის დარგის პარტუჯრედმა შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბათომის დეპოს პარტუჯრედი. დამკვრელმა მუშა-პროპაგანდისტებმა კომახიძემ და კილაძემ იკისრეს ვალდებულება პროგრამის მთლიანად გავლის, მსმენელთა სავსებით მომზადების, გავლილი მუშაობის ხარისხის შესამოწმებლად პოლიტბრძოლის მოწყობის შესახებ და სხვ.

პარტუჯრედმა ადგილობრივ კომკავშირის უჯრედზე კომკავშირული სწავლების გაშლაში ხელმძღვანელობის და დახმარების გასაწევად მიამაგრა ორი ამხანაგი.

ფეხსაცმელების ფაბრიკაში

ამ ფაბრიკაში პარტიის 31 წევრი და 19 კანდიდატი მუშაობს. 13 სექტემბრამდე დამთავრდა სკოლების და წრეების დაკომპლექტება. მსმენელთა მიმართ დიფერენცირებული მიდგომით ჩამოყალიბდა ერთი საკანდიდატო სკოლა, 2 დაწყებითი პოლიტსკოლა და ერთი მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეხსაცმელების ფაბრიკის პარტუჯრედს სკოლებისათვის დღემდე არ გამოუძებნია საჭირო ბინა. მოუწყობელია პარტიული კაბინეტიც. კაბინეტი სათანადო ლიტერატურით მომარაგებული არ არის. მას არა აქვს აგრეთვე ბინა, რის გამო იქ მეცადინეობა შეუძლებელი ხდება ფაბრიკის პარტუჯრედმა ახლავე უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები კაბინეტისა და ცალკე წრეებისათვის სამეცადინო ბინების გამოსაძებნად.

ამხ. მანუკაძე.
ამხ. სალუქვაძე.
ამხ. ჯღარკავა.
ამხ. ქაგანა.
ამხ. შ. ცუცქირიძე

გ. ტოროშელიძე

გიგანტთა შორის

(შთაბეჭდილებანი)

„ჩვენ ვხდებით ლითონის ქვეყნად, ავტომობილიზაციის ქვეყნად, ტრაქტორიზაციის ქვეყნად; და როდესაც ს. ს. რ. კ-ს ჩვენ დავსვამთ ავტომობილზე, ხოლო გლეხკაცს ტრაქტორზე; დაე სცადონ და დაგვეწიონ პატივცემულმა კაპიტალისტებმა; რომელთაც თავისი „ცივილიზაციით" თავი მოაქვთ. მაშინ ვნახავთ, თუ რომელი ქვეყანა იქნება ჩამორჩენილებში „ჩასარიცხი" და რომელი მოწინავეებში". ამხ. სტალინის ამ სიტყვებში ნაგულისხმევია ჩვენი მრეწველობის ყველა გიგანტი, რომლებიც „ჩვენი ქვეყნის სიამაყეს" წარმოადგენენ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ, ურალის ოლქის და კუზნეცკის ბასეინის გიგანტებს, რომელთა შესახებ ჩემი შთაბეჭდილებაც მსურს მკითხველებს გავუზიარო*).

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც სწრაფად იქცევა მტკიცე რწმენად; ეს არის ის, რომ საკუთარი თვალით ხედავ, გრძნობათა ყველა ორგანოთი შეიგრძნობ სოციალიზმის ჭეშმარიტ მშენებლობას. არა მწიგნობრული, მე-2 ინტერნაციონალის გმირების მიერ ნათრევი სოციალიზმისა, არა აბსტრაქტულ-უსხეულო სოციალიზმისა, რომელიც უნდა მომწიფდეს კაპიტალიზმის წიაღში და როგორც მზამზარეული ნაყოფი მიერთვას გაბედნიერებულ კაცობრიობას, არამედ მშენებლობას იმ სოციალიზმისა, რომელიც იშვის გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პროცესში, გზას იკაფავს მკაცრი სამოქალაქო ბრძოლების ცეცხლში; იმ სოციალიზმისა, რომელსაც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ პარაზიტული კლასების ნაშთები ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით ადგილი აქვს „მუშათა და კოლმეურნეების მილიონიანი მასების აქტიობასა და თავგამოდებას, ენტუზიაზმსა და ინიციატივას"; გრძნობ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნამდვილი სოციალიზმის მშენებლობას. აქ კოლოსალური ენერგია იხარჯება, არაჩვეულებრივი სიძნელეები გადაილახება და მხოლოდ ამის შედეგად ვღებულობთ ბრწყინვალე გამარჯვებას, სოციალიზმის გამარჯვებას. ეს გამარჯვებები ს. ს. რ. კ-ს „ისეთი ქვეყნიდან, რომელიც აგრარული და უძლური, კაპიტალისტური ქვეყნების კაპრიზებზე დამოკიდებული იყო, — აქცევენ ინდუსტრიალურ და მძლავრ, სავსებით თავისთავად და მსოფლიო კაპიტალიზმის კაპრიზებზე დამოუკიდებელ ქვეყნად" (სტალინი).

თვითეული ამ გიგანტთაგანი თავისებურად კარგია, თავისებურად წყვეტს სოციალისტური მშენებლობის ამოცანას; ამდიდრებს ქვეყანას, სოციალისტური ელემენტებით.

ავიღოთ მაგნიტოგორსკი, სტალინის სახელობის ცნობილი სამეტალურგიო კომბინატი. საკმარისია შევადაროთ ის, რაც აქ სულ ცოტა ხნის წინათ, 1929 წელს იყო, იმას, რაც ახლა იქ გვაქვს, რათა თვალნათლივ დაინახოთ, თუ რისი გაკეთების უნარი აქვთ ბოლშევიკებს. შენახულია ფოტოგრაფიული სურათი ამ ადგილებისა. ეს ადგილები წარმოადგენდენ უდაბურ ხრიოკ ველს, სადაც არც ერთი სულდგმული არ მოიპოვებოდა. ასეთი ველები ახლაც ბლომად არის ურალსა და ციმბირში. ახლა კი აქ ქალაქია, ქარხანათა ქალაქი, ან უფრო უკეთ რომ ითქვას — ქარხანა — ქალაქი, ვინაიდან ქარხანა თავისი მოცულობით ქალაქს უდრის და როცა თავის თავს აშენებს, იმავე დროს თავის შესატყვის ქალაქსაც აშენებს. აქ ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ბრძმედები, რომელთა ბადალი მხოლოდ ამერიკაში მოიპოვება, ისიც სულ ათიოდე, ევროპაში კი არც ერთი ასეთი ბრძმედი არაა. თვითეული ასეთი ბრძმედი დღე-ღამეში 1000—1200 ტონა თუჯს იძლევა! ბრძმედებს თავისი სიდიდით მეტოქეობას უწევენ მარტენის ღუმელები, რომელთაგან თვითეული დღე-ღამეში დაახლოებით სამას ტონა ფოლადს იძლევა. შემდგომ ჩვენ ვხედავთ ფრიად რთული მოწყობილობის მქონე საგლინავ საამქროს (ბლუმინგები და სხვ.), სადაც ფოლადი ათასტონიანი მწნეხის (პრესის) საშუალებით გამზადებულ პროდუქციად იქცევა (რელსები, კოჭები და სხვ.); ნახშირმზიდების საამქრო აწვდის მაღალ საკოქსე საამქროს, საიდანაც კოქსს მექანიკურად აწვდიან ბრძმედებს, რომლებიც უზარმაზარი ქვის სატეხიდან ღებულობენ ზოდებს, კირაქვას და სხვა. ყველას მათ ენერგიას აწვდის 98 ათასი ძალის მქონე ელექტროსადგური. გარდა ამისა, არის მრავალი დამხმარე საამქრო, რომელნიც თავისთავად, უზარმაზარ საწარმოებს წარმოადგენენ.

ყველაფრის ჩამოთვლა აქ საჭირო არ არის. მაგრამ ცალკე უნდა აღინიშნოს, მთელი „გორა", რომელიც ამაყად ამართულა ქარხნის მოედანზე, იგი წარმოადგენს მსოფლიოში რკინის ყველაზე დიდ და უხვ საბადოს და შეიცავს 500 მილიონ ტონა ზოდს, რომელშიაც რკინის შემადგენლობა 65 პროცენტს უდრის. საუკუნეთა განმავლობაში იდგა იგი უძრავად და ამაოდ ელოდა თავისთ ხალხს, რომლებიც დაიწყებდენ მისი სიმდიდრის დამუშავებას. მის არემარეში, 2000 კილომეტრის მანძილზე ნახშირი არსად მოიპოვება, ხოლო უნახშიროდ რკინის მადანს [illegible]. ახლა კი ქვანახშირი აქ ჩამოაქვთ კუზბასიდან, რომელიც სამაგიეროდ მადანს ღებულობს და საშუალება ეძლევა საკუთარი მეტალურგია გაავითაროს (სტალინის სამეტალურგიო კომბინატი). დამუშავება წარმოებს ღია კარიერებით (მაღაროებით); გორა თავიდან ძირამდის დაყოფილია მთელ რიგ უბნებად; თვითეულ უბანს აქვს საკუთარი ექსკავატორი, თავისი მისავალი რკინის გზა, თავისი ორთქლმავლები და ვაგონები და ეკვრის ჭვასამტვრევს, სადაც მიაქვს გორიდან მოგლეჯილი უზარმაზარი ზოდები რკინისა; მართალია, გორას ძირში ერთი შტოლნი არის გაკეთებული, მაგრამ ეს უფრო კვლევა - ძიების მიზნით, ვიდრე ექსპლოატაციისა; ხოლო მისი ექსპლოატაცია ისე ინტენსიურად წარმოებს, რომ მისი მწვერვალი თანდათან დაბლდება; ძირფესვიანად იცვლება მისი სახიობა და სერიოზულად დგას საკითხი მისი სავსებით მოხსნის, მიწასთან გასწორებისა. მაგრამ როდის მოხდება ეს? ჩვენი ტემპების დროსაც კი მთაგორის სიცოცხლეს აქვს არა ათეული, არამედ ასეული წლების ხანგრძლიობა;

ყველა საწარმო მოწყობილია საუკეთესო ამერიკული და ევროპული მანქანებით, ყველგან განხორციელებულია მაქსიმალური მექანიზაცია; ცოცხალი მუშა - ხელისთვის თითქოს ნაკლები ფუნქციები უნდა დარჩენილიყოს. ნამდვილად კი მაგნიტოგორსკში ამჟამად 58 ათასი მუშაა და მოსალოდნელია ამ რიცხვის აყვანა 70 ათასამდე. მუშა - ხელის ნაკლებობა აქაც, როგორადაც ყველა ჩვენს ახალმშენებლობაზე, ძალიან მწვავედ იგრძნობა. აქ არ მოიპოვება სხვა მოსახლეობა, გარდა იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მაგნიტოგორსკის საწარმოებთან. ისინი წარმოადგენენ მათ მიერვე დასახლებული სოციალისტური ქალაქის მოქალაქეებს.

ეგრეთწოდებული სოციალისტური ქალაქი ნაკლებად ჰგავს საერთოდ ქალაქს და სრულიად არა ჰგავს სოციალისტურ დაბას. ამის მიზეზი ბევრია. მთავარი მათგანი კი არის — მშენებლობის ეკონომიკის უკუღმართად გაგება. იმისა ცდილობენ, რომ საწარმო რაც შეიძლება ნაკლებათ დაუჯდეთ, მის ამუშავებამდის რამენაირად იოლად წავიდენ ბარაკებით; ეკონომიის ამნაირი მოსაზრებანი ვრცელდება თითონ მშენებლობაზედაც ამის შედეგია, რომ არ არის მისავალი გზები, არ არის საერთოდ გზები—იქნებ როგორმე იოლად წავიდეთ უმათოდ. მაგრამ უხეირო გზები აძვირებს ტვირთზიდვას; უგზოობის გამო იმსხვრევა და ფუჭდება ძვირადღირებული მანქანები და მოწყობილობანი. ბოლოსდაბოლოს, თუ კარგად გამოვიანგარიშებთ, გამოდის, რომ ეკონომია კი არა, გადახარჯვა გვაქვს. ამას უნდა დაემატოს ათასგვარი უხერხულობა და გაჭირვება ცოცხალი ადამიანებისა, თითონ მშენებლებისა.

სპეციალისტებისა და დამკვრელებისათვის დანიშნული უფრო საფუძვლიანი სახლებიც კი სწორედ ამნაირი „ეკონომიის" მიხედვით არის აშენებული: ამ სახლებს არც აივნები მოეპოვებათ, არც კორიდორები, სამზარეულოებსა, სამრეცხაოსა, საბაზანოსა და სხვაზე რომ არა ვთქვათ რა. ეს სახლები სტანდარტული სახლებია. მათი პროექტი შეადგინა გერმანელმა ინჟინერმა მაიმ. მაგრამ როგორც მართებულად აღნიშნა ამ სახლების დათვალიერებისას ამხ. სერგო ორჯონიკიძემ, მისი გამოსავალი წერტილი იყო გერმანიაში არსებული ურთიერთობები; იგი ხელმძღვანელობდა, გერმანელი კაპიტალისტის თვალსაზრისით, რომელიც, აქა-იქ აშენებს რა თავის მიერ გაყვლეფილი მუშებისთვის ბინებს, [illegible] თავისი თავი მუშების გამბედნიერებლად მიაჩნია. ეს სრულიად არ შეეფერის ჩვენ, იმ ქვეყანას, სადაც გაბატონებულ კლასს წარმოადგენს მუშათა კლასი. ეს თავისი მდგომარეობა მან უნდა იგრძნოს თავის სახლშივე, მას უნდა ჰქონდეს თუ კომფორტი არა, ყოველგვარი ელემენტარული მოწყობილობა მაინცო. ამხ. ორჯონიკიძემ განკარგულება მოახდინა დაპროექტებულ იქნას ახალი, უფრო საფუძვლიანი და მეტი მოწყობილობის მქონე სახლების აგება.

სახლებზე, ისიც კარგ სახლებზე, მე კიდევ მომიხდება ვილაპარაკო სხვა საკითხთან დაკავშირებით.

რასაკვირველია, ბარაკები და დროებითი ნაგებობანი დანგრეული იქნებიან და აგებულ იქნება ნამდვილი, სოციალისტური ქალაქი; ეს მით უმეტეს, რომ მშენებლობა თუმცა მოთავებული არ არის, მაგრამ ექსპლოატაცია უკვე დაწყებულია და სეზონის მუშები უკვე ადგილს უთმობენ მუდმივ კადრებს.

მუშებს შეგნებული აქვთ, რომ ამ უხერხულობა-მოუწყობლობას დროებითი ხასიათი აქვს; ისინი განსაკუთრებულ უკმაყოფილებას როდი გამოთქვამენ.

როგორ მუშაობენ მუშები? მათი უდიდესი უმრავლესობა წარმოადგენს ახალგაზრდობას, 25-დან 30 წლის ჰასაკისას. შეიძლება ეს გარემოება იყოს იმის მთავარი მიზეზი, რომ როგორც მუშაობისას, ისე წარმოების გარეშე — მეფობს ჯანსაღი და მხიარული სულისკვეთება. მათ მუშაობას მრავალი დეფექტი აქვს, ხანდახან მსხვილი დეფექტებიც; მაგრამ საერთოდ და მთლიანად ისინი კარგად, ხალისით მუშაობენ, ისე, როგორც შეჰფერით ადამიანებს, რომელნიც თავის თავს მდგომარეობის ბატონ - პატრონად გრძნობენ. დეფექტები აიხსნება როგორადაც სამუშაოს სირთულითა და მისი დაუფლების სიძნელით, ისე საჭირო კულტურის უქონლობით. როგორც პირველი, ისე მეორე დეფექტი შეიძლება აღმოიფხვრას, თუ სისტემატიურად ვიმუშავებთ საკუთარ თავზე, განუხრელად შევებრძოლებით ძველ ჩვევებსა და სურვილებს, დღითი - დღე გარდავქმნით საკუთარს თავს მეთოდურ და შეუპოვარ მუშაკებად. ისინი, აქაური მუშები, წარმოადგენენ ჩინებულ მასალას ახალი ტიპის მუშაკების, სოციალისტური მეურნეობის მუშაკების შესამუშავებლად. რათა, ჩემი აზრი უფრო გასაგები გავხადო, მოვიყვან შემდეგ მაგალითს. უზარმაზარი ზოდების გლინვა, როგორც საწარმოო პროცესი, ჩინებულ სანახაობას წარმოადგენს და ეს გარემოება აკავებდა თვითეულ საამქროში იმ ადამიანებს, რომელნიც ამხ. ორჯონიკიძეს ახლდენ, უფრო მეტ ხანს, ვიდრე ნავარაუდევი იყო საამქროსათვის. მაგრამ ისიც შევნიშნე, რომ მანქანებთან უფრო მეტ მუშებს მოეყარათ თავი, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა, შემდეგ გამოირკვა, რომ ესენი იყვნენ მუშები, რომელნიც თავის რიგს ელოდდენ, რათა მუშაობას შესდგომოდენ- ისინი მთელი ერთი საათით უფრო ადრე მოსულიყვნენ. გარდა ამისა, იქვე იყვნენ ის მუშებიც, რომელთაც თავისი მუშაობა უკვე მოეთავებინათ, მაგრამ არ შეეძლოთ თვალი მოეშორებინათ ჩინებული სანახაობისთვის. საამქროს უფროსს, რომ შევეკითხეთ, მან გვიპასუხა: ისინი საათობით დგანან აქ სრულიად მშიერნი და ვერ შევძლით მათი თავიდან მოცილებაო, ასეთია ფაქტი, რომელსაც შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს კაპიტალიზმის დროს. იქ მუშა ყოველთვის ცდილობს, რაც შეიძლება მალე დააღწიოს თავი წარმოებას, სადაც მის ექსპლოატაციას ეწევიან, ცდილობს თავისი საცხოვრებო ფუნქციები გამოამჟღავნოს ფაბრიკისა და ქარხნის გარეშე. აქ კი, პირიქით, ქარხანა უკვე აღარ არის მონობის ადგილი; იგი გადაქცეულა ადამიანის ყველაზე სასიხარულო, ცხოველი ფუნქციების გამოვლინების ასპარეზად. შრომა გადაქცეულა „ღირსებისა და სახელის, ვაჟკაცობისა და გმირობის საქმედ". (სტალინი).

კარგად მუშაობენ მუშები, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ასევე კარგი იყოს მათი მომარაგება. ყოველ შემთხვევაში ამხ. სერგომ ძალიან ავი დღე დააყენა საზკვების პასუხისმგებელ მუშაკსა და ადგილობრივი ქალაქის საბჭოს წარმომადგენელს მუშების მომსახურების საქმის ცუდად დაყენებისთვის. მაგრამ მუშები აქაც ინსტინქტით მიმხვდარნი არიან, რომ მომარაგების დეფექტები დროებითი ხასიათის სიძნელეთაგან არის წარმომდგარი. ისინი თუმცა მკაცრად აკრიტიკებენ სათანადო ორგანოებს, მაგრამ მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ მთავარი სიძნელეები უკვე უკან მოიტოვეს. მოვიყვან რამდენიმე ფაქტს ამ აზრების დასადასტურებლად.

ამხ. სერგო და მე სხვების შეუმჩნევლად შევედით მუშათა ბარაკში. ვერავინ იფიქრებდა, რომ ჩვენ ხელისუფლების წარმომადგენელნი ვართ დავაკაკუნეთ, რომელიც მოგვხვდა, ის კარი. კარი გაგვიღო მუშამ, რომელიც ის ის იყო ათავებდა სადილს. მისალმების შემდეგ ამხ. სერგომ მიმართა ორი წლის ბავშვს, რომლის გულიც ფიცხად მოინადირა. ბავშვმა ნეტარი ღიმილით გაიწია მისკენ და მარდად უპასუხებდა შეკითხვებზე, რამაც მისი მშობლებიც გაამხიარულა. მათ ეგონათ, მოსკოვიდან სამუშაოს საძებრად ჩამოსულნი ვიყავით და გულახდილად გვებასუხებოდა. როგორ ცხოვრობთ „მაგნიტკაში", კარგად, თუ ცუდად? შევეკითხეთ ჩვენ — მუშამ გვიპასუხა: აქ კარგიც ბლომად არის და უხეიროობაც საკმარისადაა. ჩვენ წინადადება მივეცით, ეამბნა უხეიროობის შესახებ. ალბათ უხეიროდ გკვებავენ-თქო, ვუკარნახებდით ჩვენ. რასაკვირველია, არც თუ კარგად გვკვებავენ, მაგრამ ეს როდია საქმე?

— მაშ განსაკუთრებით რა გაკლიათ? ვეკითხებოდით ჩვენ და ვცდილობდით მისი აზრები მომარაგების საკითხებისკენ წარგვემართა.

— კულტურა გვაკლია! კულტმუშაობას არ ეწევიან. მართებულად სწერდა ჩვენი გაზეთი: კულტურა მათ პორტფელში ჩაიდეს. ასაშფოთებელია- ეხეც ერბო-კარაქი, ყველი და შაქარი ხომ არ არის. ყველამ იცის, თუ რატომ გვაკლია ეს პროდუქტები, მაგრამ კულტმუშაობის გაწევა ხომ შეიძლება? ჩვენს კლუბში არც რადიოა, არც კონცერტები, არც მოხსენებები. მოხვალ შინ სამუშაოდან და აღარ იცი, სად წახვიდე.

ყველა ჩვენ შეკითხვაზე იგი შეუპოვრად გვიპასუხებდა: მე არ მაშინებს კომბოსტოს და კარტოფილის ნაკლებობა, ტყუილად კი არ მოველით კარგ მოსავალს. საერთოდ, დაასკვნა მან, აქ მუშაობის კარგი პირობებია და თქვენც ადვილად იშოვით სამუშაოსო.

ამის შემდეგ ჩვენ ვირჩიეთ წამოსვლა, რათა თავი არ გამოგვემჟღავნებინა იმ შემთხვევაში, რომ იგი შეგვეკითხებოდა, თუ რა გვარი სამუშაო გვსურდა.

ჩვენ გავემართეთ მიწის სამუშაოებისკენ. მაგრამ იქ ჩვენი ინკოგნიტო გამომჟღავნდა. ერთი წვეროსანი ჩააცქერდა ამხ. სერგოს, მერე სახე გაუბრწყინდა სიხარულით და შესძახა: თუ არა ვცდები, თქვენ ამხ. ორჯონიკიძე ბრძანდებით, არა? ძალიან მოხარული ვარ, რომ გნახეთ; აქამდე თქვენს პორტრეტებს ვუყურებდი, ახლა კი ცოცხალს გხედავთ, ძალიან მოხარული ვარ თქვენი ნახვისაო.

უხერხული იყო მისი გამოკითხვა დაგვეწყო და ჩვენ დავკმაყოფილდით მოკლე კითხვით: როგორ ცხოვრობთ, როგორ მუშაობთ-თქო. მან ლაკონიურად გვიპასუხა: ძალიან კარგად, ამხ. ორჯონიკიძევ, ძალიან კარგადო.

ბარაკელ მუშას რომ სცოდნოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე, იგი მოუჩვებოდა ადგილობრივ უფროსებს, არა მარტო კულტურისათვის. ამ შემთხვევაში კი იგი გულწრფელად იყო აღშფოთებული კულტმუშაო-

---

*) სტატიის ავტორი ახლდა საბჭ. კავშირის მძიმე მრეწველობის სახ. კომისარს ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, რომელმაც ა.-წ. ივლის-აგვისტოში დაათვალიერა ურალის და დასავლეთ ციმბირის გიგანტები.

რედ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

1933 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ*

„1933 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აგვისტოს 9-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 51 №-ი, მუხ. 301) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემულ ა.-კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო — 1933 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილების შესაბამისად — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ზოგადი დებულებანი

1. წყლის გამოსაღები შემოღებულია საქართველოს სსრ წყლის ქსელის და საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ადმინისტრირებაში მყოფ წყალსამეურნეო დაწესებულებათა ქვედა აპარატის შენახვისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად.

2. წყლის გამოსაღებით შემოსული თანხებიდან გაწეულ უნდა იქნეს წყლის ქსელის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული შემდეგი ხარჯები:

ა) წყალსამეურნეო გამართულობათა და ნაგებობათა მიმდინარე რემონტი და აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებული პროექტირება;

ბ) არსებულ წყლის სისტემათა საექსპლოატაციო დარგის ორგანოების სასამსახურო, სასაწყობო და სხვა სადგომების შენახვა და რემონტი;

გ) არსებულ წყლის სისტემათათვის მომსახურეობის გამწევი სატელეფონო კავშირგაბმულობის შენახვა და რემონტი;

დ) საექსპლოატაციო ჰიდრომეტრია და მიმდინარე სტატისტიკა;

ე) საერთო სარგებლობის არხების გაწვრივ ხე-ნარგავთა დაცვა;

ვ) რწყვის პერიოდში წყლის განაწილების მოწესრიგებისათვის საჭირო სამუშაოები;

ზ) წყლის სისტემების ექსპლოატაციის გამგებელ ქვედა დაწესებულებათა, მათ შორის სარაიონოც, საექსპლოატაციო შტატის შენახვა.

შენიშვნა. მთლად საირრიგაციო სისტემაზე წარმოებული ახალი დიდი და წვრილი მშენებლობის ხარჯები წყალის გამოსაღებით არ იფარება.

3. საგადასახადო წელიწადი წყლის გამოსაღებისათვის დაწესებულია 1933 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე.

4. წყლის გამოსაღები გადახდება ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს, კოლექტიური მეურნეობას, კოოპერატიულ ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც გამოიყენებს წყალს წყალსამეურნეო სისტემიდან სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწების მორწყვისათვის და მამოძრავებელ ძალად საწარმოში, ხოლო ქვემოდ განსაზღვრულ შემთხვევებში აგრეთვე სამრეწველო და სატექნიკო მიზნებისათვის.

5. წყალმოსარგებლენი, წყლის გამოსაღების გადახდის გარდა, გაიწვევიან ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე იმ წესით და იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილებით „ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 116).

II. საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების დაბეგვრა

6. წყლის გამოსაღები საბჭოთა მეურნეობისა და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის გამოიანგარიშება და გადაიხდევინება იმ წესით და იმ რაოდენობით, რაც დადგენილია სასოფლო - სამეურნეო კომუნისა და არტელისათვის (მუხ. მე-8 და 9).

III. კოლექტიური მეურნეობების დაბეგვრა

7. წყლის გამოსაღები კოლექტიური მეურნეობისათვის გამოიანგარიშება იმ სარწყავი მიწების ფართობის მიხედვით, რაც უჭირავს როგორც სამინდვრე, ისე სპეციალურ კულტურებს (ბაღი, ვენახი, ბოსტანი და სხვა მისთ.) და წყლით მომქმედი საწარმოს შემოსავლის მიხედვით.

სარწყავი მიწების ფართობი სათვალავში მიიღება ისეთი რაოდენობით, როგორც 1933 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის, ე.ი. საგაზაფხულო ნათესის ფართობი — მეურნეობისათვის დადგენილი გეგმის კვალობაზე, ხოლო საშემოდგომო ნათესის და მრავალწლიან ნარგავთა ფართობი ფაქტიური აღრიცხვის ცნობების კვალობაზე.

აგრეთვე, წყლით მომქმედი საწარმოს შემოსავალი სათვალავში მიიღება ისეთი რაოდენობით. როგორც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

8. წყლის გამოსაღები კოლექტიურ მეურნეობებს სარწყავი მიწებისათვის გადახდება შემდეგი განაკვეთებით მანეთობით ერთ ჰექტარ სარწყავ ნათესსა და ნარგავზე:

კულტურების სახელწოდება	კომუნა და სასოფლო - სამეურნეო არტელი	მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა
მარცვლეული, ოთხფეხი საქონლის საკვები, ფესვნარი და ნათესი ბალახი	2—50	3—60
კარტოფილი	3—25	4—60
მზეუმზირა	2—00	2—80
თამბაქო	12—50	17—50
ბოსტნეული	18—00	25—00
ბაღჩა	14—50	20—00
სათიბი და სასილოსო ნათ.	1—10	1—50
ბაღი და სამხილეული	30—00	43—00
ვენახი	20—00	28—00
მანდარინის ნარგავი	47—00	68—00
ბამბა	2—50	3—50

9. კოლექტიური მეურნეობების წყლით მომქმედ საწარმოთ წყლის გამოსაღები გადახდებათ:

ა) სასოფლო - სამეურნეო კომუნის და არტელისა — სამი კაპიკის რაოდენობით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე;

ბ) მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობისა — 4 კაპ. რაოდენობით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

10. სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული კოლექტიური მეურნეობა, რომელიც მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან, განთავისუფლდება ამისდაშესაბამისად წყლის გამოსაღებისაგანაც.

IV. კოლმეურნეთა მეურნეობების არაგანსაზოგადოებული ნაწილის დაბეგვრა

11. კოლექტიური მეურნეობის ის წევრი, რომელსაც აქვს სარწყავი მიწების და წყლით მომქმედი საწარმოს არაგანსაზოგადოებული შემოსავალი, დაიბეგრება წყლის გამოსაღებით იმ განაკვეთების კვალობაზე, რაც დადგენილია სათანადო კოლექტიური მეურნეობისათვის, სახელდობრ: სასოფლო - სამეურნეო კომუნის და არტელის წევრი — ამ კომუნისა და არტელისათვის დადგენილი განაკვეთით, ხოლო მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობის წევრი — ამ ამხანაგობისათვის დადგენილი განაკვეთით.

12. კოლექტიური მეურნეობის წევრი, რომელიც 1933 წელს მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, განთავისუფლდება ამისდაშესაბამისად წყლის გამოსაღებისაგანაც.

V. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების დაბეგვრა

13. წყლის გამოსაღებს ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი იხდიან სარწყავი მიწების შემოსავალზე, შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით და წყლის ძალის გამოყენებით მომუშავე საწარმოთა, ან სამრეწველო თუ სატექნიკო მიზნით წყლის გამომყენებელ საწარმოთა შემოსავალზე სოფლად, რაც გამოანგარიშებულია 1933 წელს სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

14. წყლის გამოსაღებს ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი იხდიან შემდეგი განაკვეთებით:

როდესაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა არის:	წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე გადაიხდევინება:
100 მანეთამდე	3 კაპ.
100 მანეთზე მეტი 200 მანეთამდე	5 „
200 „ „ 300 „	8 „
300 „ „ 400 „	11 „
400 „ „ 500 „	14 „
500 „ „ 600 „	17 „
600 „ „ 700 „	21 „
700 „ „ 800 „	26 „
800 „ „ 1.000 „	32 „
1.000 „	36 „

15. ერთპიროვნული მეურნეობა-სამელიორაციო ამხანაგობის წევრი წყლის გამოსაღებს იხდის ამა დადგენილების მე-14 მუხლის წესით გამოანგარიშებული გამოსაღების თანხის 50 პროცენტის რაოდენობით.

16. ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების წყლის გამოსაღებით დაბეგვრის დროს შეფარდებულ უნდა იქნეს შემდეგი შეღავათები:

ა) მცირეძალოვანი მეურნეობა, რომელიც, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 17-ის დადგენილების 59 მუხ. წესისამებრ, განთავისუფლებულია 1933 წელს მთლად ან ნაწილობრივ სასოფლო - სამეურნეო გადასახდისაგან (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-15 №-ი, მუხ. 205), განთავისუფლდება იმავე წესით სრულიად, ან ნაწილობრივ წყლის გამოსაღებისაგანაც;

ბ) წყლის გამოსაღებისაგან განთავისუფლდება ყველა ის მეურნეობა, რომლის წყლის გამოსაღების განაკვეთიც ერთ მანეთს არ აღემატება.

VI. კულაკური მეურნეობების დაბეგვრა

17. სასოფლო - სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობა (კულაკური) წყლის გამოსაღებს გადაიხდის სარწყავი მიწებისა და წყლის ძალის გამოყენებით მომუშავე, ან წყლის სამრეწველო თუ სატექნიკო მიზნით გამომყენებელი საწარმოს შემოსავლის მიხედვით, რაც გამოანგარიშებულია 1933 წელს სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

18. ის მეურნეობანი, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით იბეგრებიან, წყლის გამოსაღებს იხდიან შემდეგი განაკვეთებით:

როდესაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა არის:	წყლის გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე გადაიხდევინება:
არა უმეტეს 500 მანეთისა	18 კაპ.
500 მანეთზე მეტი 600 მან-დე	24 კაპ.
600 „ „ 700 „	30 „
700 „ „ 800 „	36 „
800 „ „ 900 „	45 „
900 „ „ 1.000 „	54 „
1 000 „ „	60 „

19. სასოფლო - სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილ მეურნეობას წყლის გამოსაღების სფეროში არავითარი შეღავათი არა აქვს.

VII. დაბეგვრა იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისა, რომელნიც სასოფლო - სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან

20. წყლის გამოსაღები ქალაქად და აგრეთვე იმ საწარმოთათვის, რომელნიც სასოფლო - სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან, დაწესებულია შემდეგი განაკვეთებით:

ა) სარწყავი მიწის ნაკვეთის თვითეულ კვადრატულ მეტრზე—0,2 კაპ.;

ბ) ადგილობრივი ტიპის წყალმომქმედ საწარმოსათვის (წისქვილი, სანაყავი და სხ. მისთ.) ყოველ თვალზე, ყოველ ვალცზე ან წყვილ მორგვზე, — იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება, თუ სხვა არხში,—5 და 15 მან.;

გ) საინჟინერო ტიპის წყალმომქმედ საწარმოსთვის (მექანიკური ძრავით), რომელიც წყალს იყენებს როგორც მამოძრავებელ ძალას, თვითეულ ძალაზე, — იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება, თუ სხვა არხში, — 10 და 20 მან.;

დ) იმ საწარმოსათვის, რომელიც წყალს სამრეწველო და სატექნიკო მიზნით იყენებს (რკინის გზის გარდა), თვითეულ კილოლიტრზე—1,65 კაპ.

21. წყლის გამოსაღები რკინისგზისთვის დაწესებულია შემდეგი რაოდენობით:

ა) სარწყავი ქსელიდან მიღებით, თვითდენით, განუწყვეტლივ მიღებული წყლისათვის, ერთ სეკუნდო-ლიტრზე—800 მან.;

ბ) წყალსაქაჩით მიღებული წყლისთვის ერთ კუბომეტრზე—3 კაპ.

VIII. წყლის გამოსაღების გადახდის ვადები

22. სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გადამხდელნი წყლის გამოსაღებს იხდიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გადახდისათვის დაწესებულ ვადებზე.

23. ის ორგანიზაციები და პირები, რომელნიც სასოფლო - სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან, წყლის გამოსაღებს იხდიან ორ ვადაზე: 50 პროც. 1933 წ. ოქტომბრის 1-თვის და 50 პროც. დეკემბრის 1-თვის.

IX. წყლის გამოსაღების გადამხდევინებელი ორგანოები, განცხადებათა და საჩივართა შეტანის და განხილვის წესი

24. წყლის გამოსაღების გამოანგარიშება და გადახდევინება ეკისრება:

ა) სოფლად და აგრეთვე ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, სადაც მოსახლეობა სასოფლო - სამეურნეო გადასახადით იბეგრება, — იმ ორგანოებს, რომელნიც აღნიშნული არიან „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1933 წელს სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 17-ის დადგენილების მე-VI კარში (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-15 №-ი, მუხ. 206);

ბ) ქალაქებში, სადაც მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება, — იმ ორგანოებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ მიწის რენტის გამოანგარიშება და გადახდევინება.

შენიშვნა. იმ ადგილას, სადაც მოსახლეობა დაბეგრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, წყლის გამოსაღები გადაიხდევინება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საშენაწერო ფურცლით ამ გადასახადთან ერთად.

25. რკინის გზების ხვედრი წყლის გამოსაღებს გამოიანგარიშებენ თვით რკინის გზები არა უგვიანეს 1933 წლის ოქტომბრის 1-სა ორიენტირულად 1933 წლის პირველი ნახევარწლის განმავლობაში დახარჯული წყლის რაოდენობის მიხედვით და გადაიხდიან 23 მუხლში აღნიშნულ ვადებზე.

შენიშვნა. წყლის გამოსაღების გარდაანგარიშება წლიური ანგარიშის ცნობების მიხედვით მოხდება არა უგვიანეს 1934 წლის თებერვლის 1-სა.

26. წყლის გამოსაღების გადამხდელთა განცხადებანი და საჩივრები შეიტანება და განიხილება:

ა) ამა დადგენილების 24 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში —იმ წესით, რაც დადგენილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში განცხადებების და საჩივრების შეტანისა და განხილვისათვის;

ბ) იმავე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში იმ წესით, რაც დადგენილია მიწის რენტის სფეროში განცხადებების და საჩივრების შეტანისა და განხილვისათვის.

X. წყლის გამოსაღების გადამხდელთა პასუხისმგებლობა

27. იმ გადამხდელთ, რომელნიც წყლის გამოსაღებს დადგენილ ვადაზე არ გადაიხდიან, შეეფარდებათ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის მენარჩენეთათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი.

XI. შემოსული წყლის გამოსაღების განაწილება

28. წყლის გამოსაღებით შემოსული თანხები ჩაირიცხება რესპუბლიკანურ სპეციალურ წყლის ფონდში და განაწილდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქის და სარაიონო ბიუჯეტებს შორის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ, თვითეული რაიონის საჭიროების პროპორციულად.

ეს სახსარი უნდა მოხმარდეს მარტოოდენ ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საჭიროებას.

XII. ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის

29. ინსტრუქციებს ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი — სათანადო შემთხვევაში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალსამეურნეო სამმართველოსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **გ. თათეიშვილი.**

1933 წ. სექტემბრის 14

ტფილისი

პრესის მიმოხილვა

ზარმაცების კონფერენცია

„დამკვრელი“,-ლაგოდეხის პოლიტგანყოფილების გაზეთი

საქ. ცაკის მესამე სესიამ მიმდინარე წლის იანვარში გამოიტანა უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ამ დადგენილებაში დასახულია მთელი რიგი მკაცრი ღონისძიებები კოლმეურნეობიდან იმათ გამორიცხვამდეც კი, ვინც დაარღვევს შრომის დისციპლინას, არ დაემორჩილება გამგეობისა და ბრიგადირის განკარგულებას, გააცდენს სამუშაო დღეს, სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს ხარისხობრივ მაჩვენებლებს და სხვ.

განადგურებული კულაკური ელემენტები კოლმეურნეობაში არევდარევის შეტანით, ზარმაცობის დანერგვით და შრომის დისციპლინის შერყევით ცდილობენ გააკეთონ ის, რაც ვერ შესძლეს კოლმეურნეობის წინააღმდეგ აშკარა და პირდაპირ ბრძოლით. ცდილობენ შიგნიდან გახრწნან კოლმეურნეობა.

ხშირად კულაკის აგენტი და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტი განზრახ შედის კოლმეურნეობაში, რომ იქ ზარმაცების, უყაირათობის, და საკოლმეურნეო შრომისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ატმოსფერო გაამეფოს. სადაც აშას საკოლმეურნეო უჯრედები და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები—ვერ ხედავენ, კლასობრივი მტერი არხეინად აკეთებს თავის შავ ბნელ საქმეს.

ლაგოდეხის პოლიტგანყოფილების გაზეთ „დამკვრელმა“ პირველი ნომრის გამოსვლისთანავე სწორი ხაზი აიღო ზარმაცების და შრომის დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. „დამკვრელმა“ იცის, რომ

„ზარმაცი კოლმეურნე კლასობრივ მტრის აგენტი და მისი დასაყრდენი ძალაა კოლმეურნეობაში. ამიტომ ბრძოლა ზარმაცების წინააღმდეგ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანათაგანია კოლმეურნეობის ორგანიზაციულ სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებისათვის.

„დამკვრელმა“ მშვენივრად იცის ისიც, რომ

„კლასობრივი მტერი დღეს აშკარად როდი გამოდის კოლმეურნეობის წინააღმდეგ, ის ანტისაკოლმეურნეო საქმეს აკეთებს კოლმეურნეობის შიგნით სიმულიანტ კოლმეურნეთა გამოყენებით“.

„დამკვრელმა“ თავისი გამოსვლის პირველი დღიდანვე გააჩაღა კონკრეტული ბრძოლა ზარმაცებისა და შრომის დეზერტირების წინააღმდეგ. გაზეთი, „საერთოდ და მთლიანად კი არ აყენებს ზარმაცებთან ბრძოლის საკითხს, არამედ, ის **კონკრეტული** კოლმეურნეობის და კოლმეურნის მაგალითით აშუქებს ამ საკითხს, სამარცხვინო ბოძზე აკრავს სამუშაო დღის გამცდენებს; ამხევებს მოწინავეებს, ბეჯითებს, გამომუშავების ნორმების სისტემატიურად შემსრულებლებს.

გაზეთი „დამკვრელის“ ინიციატივით ამჟამად რაიონში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს **ზარმაცების კონფერენციის** მოსამზადებლად.

დიახ, ზარმაცების კონფერენციის ჩასატარებლად. უნდა შეიკრიბონ ზარმაცები რაიონის ყველა კოლმეურნეობიდან. ამ კონფერენციაზე განხილული და გამოაშკარავებული იქნება ის მიზეზები და კონკრეტული დამნაშავენი, რომელნიც ცალკე კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის დაცემას იწვევენ. კონფერენციის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის დროსვე ნათელი გახდა ამ ღონისძიების უდიდესი მნიშვნელობა კოლმეურნეთა მასების აღზრდის და ზარმაცების გამოსწორების თვალსაზრისით.

„სოფ. თამარიანის კოლმეურნეობამ აირჩია ზარმაცების კონფერენციის დელეგატებად გოჩელეიშვილი ილიკო, ხარაშვილი ნინო, ალადაშვილი გიორგი, მერაბიშვილი იოსები, კუპატაძე შალიკო და თარაშვილი დათა“.

საინტერესოა ეს პროცესი: კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დგას ზარმაცების კონფერენციაზე დელეგატების არჩევის საკითხი. არასასიამოვნოა ამ კონფერენციის დელეგატობა. მაგრამ რას იზამ. ბრიგადირები ადგენენ ნუსხას, თუ რომელ კოლმეურნეს არასაპატიო მიზეზით რამდენი სამუშაო დღე აქვს გაცდენილი. თვითეულ კოლმეურნეს უსინჯავენ შრომის წიგნაკში ჩაწერილ შრომა-დღეების რაოდენობას, კოლმეურნეობის ხარისხის ინსპექციები იძლევიან ცნობებს ზარმაცობაში შემჩნეულ კოლმეურნეთა მუშაობის ხარისხის შესახებ.

ამგვარად, ყველაფერი ნათელია. ისე არ დაიმალება ზარმაცობა კოლმეურნეობაში, როგორც „შუბი ხალთაში“.

საერთო კრებაზე დელეგატების არჩევა უდიდეს გავლენას ახდენს, ზარმაცებზე. იმავე თამარიანის კოლმეურნეობაში.

„სიმულანტების და ზარმაცების კონფერენციაზე დელეგატებად არჩევამ დიდი გავლენა იქონია ზოგიერთზე. კოლმეურნე გოჩელეიშვილი მას შემდეგ, რაც ის ზარმაცების კონფერენციის დელეგატებად აირჩიეს, დღე და ღამე არ შორდება სამუშაოს“.

ან ავიღოთ ასეთი ფაქტები:

„სოფ. ლენინის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში თუ 6 თვის განმავლობაში მარკოზ აპოზიანცს გამომუშავებული ჰქონდა მხოლოდ 20 შრომა-დღე, ახლა 14 დღის განმავლობაში მან გამოიმუშავა 10 შრომა-დღე. კოლმეურნე ქალს თ. ჭუმბურიძეს იმავე ექვსი თვის განმავლობაში გამომუშავებული ჰქონდა 15 შრომა-დღე, ახლა მან ორი კვირის განმავლობაში გამოიმუშავა 8 შრომა-დღე. ეს გამოწვეულია ზარმაცების კონფერენციაზე მათი დელეგატებად არჩევით“.

„დამკვრელის“ 10 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია იმის შესახებ, რომ სოფ. ვაშლოვანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ქალთა ბრიგადაში ადგილი აქვს ზარმაცობას და სიმულანტობას, მაგ. კოლმეურნე

„ქეთო ჯიხაშვილი ხშირად არ გამოდის სამუშაოზე, ან გამოვა მაშინ, როდესაც მას მოეპრიანება, აქ ქალთა ბრიგადის წევრები აქტიურად გამოდიან ყველა სამუშაოზე, ხოლო ქეთო, რომელიც ჯანითა და ენერგიით სხვას არ ჩამოუვარდება, სახლში ზის“. ჯიხაშვილი თუ აქტიურად არ გამოვა სამუშაოზე, ქალთა ბრიგადა მას წააყენებს ზარმაცების კონფერენციის დელეგატად“.

ამგვარად, კოლმეურნეები თითონ ეძებენ და ნახულობენ კიდეც ზარმაცების გამოსწორების და რკინისებური შრომის დისციპლინის განმტკიცების საუკეთესო ფორმებს და ხერხებს. კოლმეურნეებმა, რომელთაც მშვენივრად იციან, რომ ზარმაცი კოლმეურნეობაში უდიდეს ზიანს აყენებს ერთგულ და პატიოსნად მომუშავე კოლმეურნეს და მთელ კოლმეურნეობას,—თვითონ კისრულობენ ზარმაცებთან ბრძოლის ინიციატივას, „დამკვრელი“ ამ საქმეში ასრულებს ნამდვილი ორგანიზატორის როლს.

*

„დამკვრელის“ რედაქციამ მართებულად გაიგო, საქ. კ.პ.(ბ) ცეკას და „პრავდას“ მითითება იმის შესახებ, რომ პოლიტგანყოფილების გაზეთი უნდა იყოს **„პატარა და ყველასათვის მისაწვდომი“**. გაზეთი მართლაც პატარაა, ამავე დროს მასში ბევრი მასალაა მოთავსებული.

ავიღოთ მაგალითად „დამკვრელის“ პირველი ნომერი. იხსნება ეს გვერდი პატარა მეთაური წერილით (70 სტრიქონია) პოლიტგანყოფილების გაზეთის მნიშვნელობა—დანიშნულების შესახებ. დანარჩენი ადგილი უჭირავს ოპერატიული ხასიათის მასალებს, შენიშვნებს და კორესპონდენტების ადგილებიდან საკოლმეურნეო მშენებლობის და მიმდინარე სამეურნეო - პოლიტიკური კამპანიების საკითხებზე. ამ **პატარა** გაზეთში, **რომელიც სულ იტევს დაახლოვებით 1300 სტრიქონს, მოთავსებულია 30-ზე მეტი წერილი.**

გაზეთი აქა-იქ დამძიმებულია კოლმეურნეთათვის გაუგებარი სიტყვებით, როგორიცაა „სფერო“ „ანტი-საკოლმეურნეო“ „მობილიზებული“, „აგრო-ეკონომიური“ და სხვ. **„დამკვრელმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ მთელი მისი მასალა ადვილად გასაგები და მისაწვდომი იყოს კოლმეურნეთა ფართო მასისათვის..**

ბის უხეირო დაყენებით; ეს ადასტურებს იმას, თუ რამდენად გაზრდილა ჩვენი მუშების კულტმოთხოვნილებანი. მაგნიტოგორსკში ეს მყისვე თვალში გეცემათ; გარდა ამისა, მომარაგების საკითხები უკვე აღარ აფიქრებთ მუშებს. მდგომარეობა დღითი - დღე უმჯობესდება. დავასახელებთ თუნდაც საგარეუბნო მეურნეობას, რომელმაც ზოგან მაინც ისეთი ეფექტი გვიჩვენა, რომ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ერთ ადგილას გამოგვიანგარიშეს: თვითეულ სულს წელიწადში 300 კილოგრამი კარტოფილით უზრუნველვყოფთო. მე მგონია საკმარისზე უფრო საკმარისი ულუფაა. გარდა ამისა, აქ ჩინებულად იხარა ისეთმა ხილმა და ბოსტნეულმა, რომელიც განსაკუთრებით მხოლოდ სამხრეთის მცენარეებად მიაჩნდათ. მაგალითად, ჩვენ ფრიად ბლომად გვხვდებოდა ჩინებული პამიდორი, რომ არა ვთქვათ რა კიტრისა, ნესვისა და სხვაზე. ეს უნდა მიეწეროს საბჭოთა მეურნეობების და საგარეუბნო მეურნეობათა განსაკუთრებულ საქმიანობას.

ყველაფერს ამას ხედავენ და გრძნობენ მუშები. ამას არ შეიძლება სულისკვეთების საერთო ამაღლება და სიცხოველის გაძლიერება, არ მოჰყვეს. ამნაირი სულისკვეთების განმტკიცებაში პატარა როლს როდი ასრულებს ქალთა შრომა, რომელიც აქ ფრიად ფართოდ არის გამოყენებული; მამაკაცებში კიდევ გამოერევა თითო - ოროლა მყვირალა და ჭინჭყლიანი; ქალებში კი ამნაირს თითქმის სრულიად ვერ შეხვდებით. ისტორიაში პირველია, რომ ქალმა თავისი თავი იგრძნო ადამიანად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ეს თავისი მდგომარეობა მან ყველაზე მეტად წარმოებაში განამტკიცა. აქ იგი წარმოადგენს არა დამხმარე, დამატებითსა და მეორეხარისხოვან სამუშაო ძალას, ამისდამიხედვით მცირედი ხელფასის მქონესაც, — არამედ იგი არის მამაკაცის სრულიად თანასწორი უფლებების მქონე ელემენტი წარმოებისა და წარმატებით უწევს შეჯიბრებას მას ფრიად რთულ სამუშაოში. ქალი დამოუკიდებლად უძღვება ურთულეს მანქანებს და ოდნავაც არ გრძნობს რაიმე შიშსა და მოკრძალებას, რაიც ასე დამახასიათებელი იყო მისთვის წარსულში. იგი, ალბათ, ყველაზე უფრო მეტად და კარგად გრძნობს, გრძნობს მთელი თავისი არსებით, ახალი წყობილების უპირატესობას.

კარგად მუშაობენ მუშები, ვინაიდან მათ უყვართ თავისი საქმე, მდგომარეობის ბატონ - პატრონად გრძნობენ თავს. მაგრამ ეს იმას, როდი ნიშნავს, რომ ისინი სავსებით დაეუფლნენ წარმოებას და დაბრკოლება აღარა აქვთ რა. ხშირია არა მარტო შეფერხებები, არამედ ნამდვილი ავარიებიც, რასაც დიდი ზარალი მოსდევს ხოლმე. მაგრამ, თუ მუშებს თავისი გამოუცდელობის, ან შეიძლება დაუდევრობის გამო არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ ურთულესი მანქანების გაფუჭება, თითონ ავარიის დროს ისინი გმირობისა და თავგანწირულების ნიმუშებს გვიჩვენებენ. ისინი თავის გადარჩენას კი არ ცდილობენ, არამედ მიისწრაფიან საშიში ადგილისაკენ, „ცეცხლში ვარდებიან“, ოლონდ ავარია თავიდან აიცილონ. რასაკვირველია, ასეთ საქმე მეცადინეობას ყოველთვის კარგი შედეგი როდი მოსდევს. ცხადია, სჯობდა, ავარიათა დროს ზეკაცური თავგანწირულების გამოჩენის მაგივრად, მუშებს სისტემატიურად და განუხრელად განეხორციელებინათ ცხოვრებაში ის გულმოდგინება და გულისხმიერება, რაიც საშუალო მუშას მოეთხოვება. მაშინ ავარიებიც ნაკლებად მოხდებოდა და გმირობის გარჩევაც ნაკლებად დასჭირდებოდა. მაგრამ ჩვენი მშენებლობის უმეტესობაში ეს ყველაზე სუსტი ადგილია.

აქ თვალნათლივ და მთელი სიგრძე-სიგანით იჭრება წინ უზარმაზარი მნიშვნელობა ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული ლოზუნგისა — ტექნიკის დაუფლების შესახებ. „ახალი მანქანებისა და ახალი ტექნიკის ათვისება“ რომ ჩვენი მშენებლობის მთავარი და ძირითადი მომენტია, ამას გვიკარნახებს ჩვენი გიგანტების მთელი გარემოება. მაღალი ტექნიკა მოითხოვს იმ პირთაგან, ვინც მას მიმართავს, მაღალსავე კულტურას. უამისოდ ტექნიკას სასიკვდილო საფრთხე მოელის. იმაზე უარესი არა არის რა, როგორადაც „მანქანების რუსიფიკაცია“, როგორც იქ ამბობდა ერთი ძალიან პატივცემული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

ადვილი როდია მაღალი ტექნიკის დაუფლება და მით უმეტეს უწდა გავამახვილოთ მთელი ჩვენი აქტივის ყურადღება ამ საკითხზე. ამხ. სერგო არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა, რომ ამ მომენტისთვის ხაზი არ გაესვა. ის, რასაც ჩვეულებრივად წვრილმანად სთვლიან და ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნიათ, წარმოებაში უდიდეს მნიშვნელობას იძენს. მიუთითებდა რა ქარხნის შენობაში არსებულ მტვერზე, ამხ. სერგო მწარე ირონიით ეკითხებოდა საამქროს უფროსს: ეს, ალბათ, ზორბად გეხმარებათ საქმეში, არა? — არა, ამხანაგო სერგო, ეს ძალიან ხელს გვიშლის, — უპასუხებდა ყურებამდის გაწითლებული უფროსი. და ნუთუ ისე ძნელია გამოგზავნოთ აქეთ ერთი დამლაგებელი ქალი ხელში ტილოთ მისცეთ და პასუხისმგებელი გახადოთ განსაზღვრული უბნის აბსოლუტური სისუფთავისთვის?

ალმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ეს არც თუ ისე ძნელი იყო, მაგრამ ამაზე არავის ეფიქრნა. მტვერიანობის, ნაგვიანობის, საერთოდ მუშაობის გარემოს საკითხი — პატარა საკითხი როდია. ურთულესი მანქანები ვერ იტანენ მტვერს და ძალიან კულტურული მოპყრობა ესაჭიროებათ. ამას ამხ. სერგო დაულალავად ლაპარაკობდა კერძო საუბრებშიაც; დამკვრელთა საერთო კრებაზე და მუშათა მიტინგებზედაც.

რაც შეეხება რთულ საწარმოო პროცესებს, აქ შეუძლებელია იმას ვუცადოთ, რომ მუშებმა წმინდა ცდის გზით გამოასწორონ დეფექტები, თანდათანობით თავიდან მოიშორონ ძველი შეცდომები. ასეთი სწავლება ფრიად და ფრიად ძვირად დაგვიჯდება. ამხ. სერგომ განკარგულება გასცა ბრძმედებსა და მარტენის ღუმელებზე ამუშავეთ მუშების მაგივრად ახალგაზრდა ინჟინრები, რომლებიც ბევრ რასმე ისწავლიან, თავის კვალიფიკაციას აამაღლებენ, მერე კი მუშებს ასწავლიან. ჩვენი ინჟინრები უმეტეს წილად ყოფილი მუშები არიან. ისინი შესძლებენ თავისი ენთუზიაზმის, საქმისადმი ერთგულებისა და თეორიული მომზადების წყალობით სხვებზე უკეთესად და ღირსეულად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობა.

მაგრამ ეს ასეა იმ პირობით, თუ კარგი პარტიული ხელმძღვანელობა არსებობს და სათანადო ადმინისტრაცია გვყავს. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრით მაგნიტოგორსკში ყველაფერი რიგზე იყოს. ეტყობა, რომ პარტმუშაობა ჩამორჩებოდა წარმოებას და უფრო წესების მკაცრად შესრულებას ჰგავდა, ვიდრე ცოცხალი ადამიანების მიერ საქმის ცოცხალსავე ხელმძღვანელობას. ანგარიშს უწევდნენ რა, რომ თვითკრიტიკის გარეშე საქმე იოლად ვერ წავა, პარტხელმძღვანელები გამოდიოდნენ კრებებზე „გაფეთრებული“ თვითკრიტიკით, შეიძლება ითქვას, თავზეხელაღებული თვითკრიტიკით. „ჩვენ ისე ცუდად გვაქვს საქმე, რომ შეიძლება ბრალი დაგვედოს კლასობრივ მტრებთან დაკავშირებაში“, ამბობდნენ ისინი თვითგანადგურების გრძნობით გატაცებულნი. „მაგრამ ჩვენ მიღწევებიც გვაქვსო“, — განაგრძობდნენ ისინი, გაახსენდათ რა რომ გამოუკლებლივ ყველაფერის შეგინება შეუძლებელია. ამნაირი „დასაბუთებული“ სიტყვების შემდეგ ერთ-ერთ კრებაზე გამოვიდა საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კაბაკოვი და მკაცრად გაუსწორდა ყველა მათ: თქვენი გამოსვლა ისეთია, რომ არ შეიძლება არსებითი გამოსვლა ვუწოდოთ. ის ემჯობინებოდა იმაზე გეფიქრათ, თუ როგორ მოვამარაგოთ მუშები საბჭოთა ხახვითა და კარტოფილითაო“. და ამხ. კაბაკოვმა დაიწყო განვითარება იმის კონკრეტული პროგრამისა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მაგნიტოგორსკის პირობებში პარტორგანიზაციას; ამხ. სერგომ კი წაუკითხა მათ ნოტაცია: არ შეიძლება ყველა თქვენი დეფექტი კლასობრივ მტრებს მიაწეროთ, თავი შეაფაროთ თვითკრიტიკის ჩრდილს და ილაპარაკოთ: ერთი შემომხედეთ, რა უხეირო და, უქნარა ვარ, აბა, რა მომეთხოვება მე.

ამაზე უკეთესად არ ჰქონდა საქმე კომბინატის დირექციასაც. დირექტორი გამოსადეგი იქნებოდა რომელსამე უკვე ფეხზედაყენებულ საწარმოში, მაგრამ არა ისეთ გიგანტში, სადაც მშენებლობა და ექსპლოატაცია პარალელურად წარმოებს.

მაგნიტოგორსკი ამჟამად უკვე განთავისუფლებულია ძველი ხელმძღვანელებისაგან, იქ გაგზავნილია პარტორგანიზაციის ახალი მდივანი და ქარხნის ახალი დირექტორი; ვიქონიოთ იმედი, რომ ისინი ანგარიშს გაუწევენ ძველ შეცდომებს და ამ გიგანტის ღირსეული მუშაკები იქნებიან.

მაგრამ მე ძალიან დიდხანს შევჩერდი მაგნიტოგორსკზე. სალაპარაკო კი ბევრი მაქვს სხვა გიგანტებზედაც. სტალინსკი (ყოფ. კუზნეცკი) თითქმის განმეორებაა მაგნიტოგორსკისა, თუმცა მას მრავალი მხრით ჩამოუვარდება. მას არ აქვს რკინის მადანი და მაგნიტოგორსკიდან ღებულობს; სამაგიეროდ მას აქვს მახლობლად ქვანახშირის უუხვესი მადაროები (პროკოპიევსკში), რომლებსაც მოეპოვებათ ელექტრომავლები და ტექნიკის ყოველგვარი მიღწევანი; ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოს, რომელიც თანაბარი გულმოდგინებით ჰკვებავს როგორც მაგნიტოგორსკს, ისე სტალინსკს. სტალინსკის ბრძმედები თავისი სიმძლავრით მაგნიტოგორსკისაზე ნაკლებნი არიან (სადღეღამისო საშუალო წარმოებრიობა 670—750 ტონას უდრის); მაგრამ განზრახულია ახალი ბრძმედების აგება, რომლებიც სავსებით გაუთანასწორდებიან მაგნიტოგორსკისას. მარტენთა საამქრო უკვე ახლა არ ჩამოუვარდება მაგნიტოგორსკის მარტენებს. მისი საქარხნო ფართობი მოცულობით დიდი როდია, მაგრამ ამის კომპენსაციას იგი ახდენს გვირაბით, რომლიდანაც ადამიანები სხვადასხვა მიმართულებით წასულნი — პირდაპირ მიწის ქვეშიდან უშუალოდ თავის საამქროში ადიან. პარტხელმძღვანელობა და ქარხნის ადმინისტრაცია აქ უფრო უკეთესად უძღვება საქმეს, სავსებით კარგად უკავშირებს ერთმანეთს პარტმუშაობასა და წარმოებას და საზოგადოდ თავისი ამოცანის სიმაღლეზე დგას. პარტორგანიზაციის სათავეში დგას ჩვენებური და ჩვენში კარგად ცნობილი ამხ. ხითაროვი, ახ. ინტერნაციონალის (კიმ) ყოფილი მდივანი. მას ის უპირატესობა აქვს, რომ თარჯიმნების დაუხმარებლად ელაპარაკება უცხოელ სპეციალისტებსა და მუშებს. მთავარი ინჟინერი ბარდინი—ნამდვილი ენთუზიასტია და ოცნებობს ააგოს მეორე ქარხანა 100.000 მუშისათვის! დავიცადოთ, ჩვენში არც თუ ამაზე ნაკლები ოცნებები განხორციელებულა.

გადავდივარ ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაზე. მაგრამ ეს ქარხანა კი არა, რაღაც სხვა რამ არის. ჩვენი წარმოდგენით ქარხანასთან დაკავშირებულია პირქუში შენობა, შემჭვარტლული კედლები, სივიწროვე, მტვერი, ჭუჭყი, დახშული ჰაერი; ათასგვარი ნარჩომი, ტანჯულსახიანი მუშები, — ერთი სიტყვით, დაკავშირებულია მკაცრ შრომასა და არამიმზიდველ გარემოსთან. არაფერი ამის მსგავსი არა არის რა ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაში. მშვენიერება, ესთეტიკა, მხატვრულობა — აი, როგორი სიტყვები მოგადგებათ ენაზე ამ გიგანტის პირველსავე დანახვაზე. ქარხანა ჩაფლულია მწვანეში, ვინაიდან თვითეულ საამქროს, რომელიც დამოუკიდებელ უზარმაზარ შენობას წარმოადგენს, გარს არტყია ბაღი, რომელთა შუაც გაყვანილია ასფალტიანი ფართო საავტომობილო გზა და ფეხით მოსიარულეებისთვის— ტროტუარები. თვითეული საამქროს შენობა — ეს უფრო მშვენიერი სასახლეა, ხელოვნების ძეგლი, რომელსაც გინდა უმზირო, როგორც არქიტექტურის მიღწევას. მისი სიმაღლე ნაგარაუდევია იმისათვის, რომ რაც შეიძლება უხვად იყოს სინათლე და ჰაერი: ასე გგონია, თითონ მზე ჩამოსულა აქაო. ხოლო უზარმაზარი ვენტილატორები მტვერს ერთ წუთსაც არსად აჩერებენ. ირგვლივ სისუფთავეა და ყველაფერი მილაგებულია. თვალსა სჭრიან თავიანთი ბრწყინვით ახალი მანქანები, დაზგები, მოწყობილობანი; ისინი გამოიყურებიან, როგორც ახალი, ჯერ გაუგონარი ცხოვრების ცოცხალი მოწმეები, მუშების მეტყველი და გაბედული სახეები, ის, რომ ისინი ერთ წუთსაც არ აშორებენ თვალს თავის საქმეს, ცხადყოფს, თუ რა თავდადებულ მუშაკებს ზრდის ახალგაზრდა სოციალისტური წარმოება; ჭკვიანი მანქანები, როგორც მაგ.: კელერის აპარატი და ჯანსაღი მუშები ტრაქტორისტის სახით, რომელიც გვიჩვენებს კონვეიერიდან ახლად მოხსნილი ტრაქტორის „სტალინეცის“ ყოველგვარ მანქანებას — ასეთია ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის სურათი.

ჩელიაბინსკი — ეს ახალი კულტურაა, ახალი ეკონომიკის, უფრო მძლავრი საწარმოო ძალების, სოციალიზმის ძალების შესაფერისი კულტურა; მე მგონია, აქ გამონახულია სოციალისტური საწარმოს ტიპი და სტილი. ყველა ჩვენი ქარხანა - ფაბრიკა ჩელიაბინსკს დაემსგავსება იგი ცალკე კონტურებითა და დეტალებით თუ იქნება ჩელიაბინსკისაგან განსხვავებული, მაგრამ, დაუპირდაპირდება კაპიტალისტურ საწარმოებს, სადაც მოგების მოსაზრება და მატერიალური სარფიანობა ნთქამს ყველა დანარჩენის ინტერესს.

სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა სავსებით მოთავებულია. მაგრამ ჩელიაბინსკში წარმოებს სხვა მშენებლობაც (ფეროშენადნობისა და სხვა). მშენებლობის მუშები ხალისით სტოვებენ 300 და მეტ მანეთიანს ჯამაგირებს და მიდიან სატრაქტოროში 120 მან. თვეში.

მუშების ბინები სავსებით შეეფერება საწარმოს საერთო გარემოს. ეს ბინები ხალვათია, სუფთაა, აქვს წყალი და კანალიზაცია, გათბობა და განათება.

მაგრამ ეს მაინც მიღწევის რეკორდი როდია: მე ვნახე უფრო უკეთესი სახლები — ეს იყო „ჩეკისტის ქალაქი“ სვერდლოვსკში. იქ სახლები უფრო კომფორტული, საფუძვლიანი იყო; ჩვენ დიდხანს ვტკბებოდით მათი ცქერით, ვათვალიერებდით ბინებს, ვებაასებოდით მდგმურებს. გვეხიბლავს და გვიტაცებს აზრი: ეს სახლები ვაქციოთ სტანდარტულ სახლებად და ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი ქალაქებისა და ახალმშენებლობათათვის. იქნებ არც თუ ისე დიდი ხნის ცდა დაგვჭირდეს;

„ჩეკისტის ქალაქს“ წარმატებულ მეტოქეობას გაუწევს „წითელი პროსპექტი“ ნოვოსიბირსკში. ეს არის ფართო, გუდრონირებული ქუჩა, რომლის შუაც გაშენებულია დიდი პარკი, ხოლო სახლებისაკენ მიიმართება უფართოესი ტროტუარები. მაღალ, სტილიან სახლებს ვერსალის შენობებიც კი შურით შეხედავენ.

ამ მშვენიერი შენობების გვერდით კვლავ რჩება ძველი ქალაქები თითქოს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უმწეობა რამ დაუტოვა მემკვიდრეობად ახალს ძველმა; მალე ჩვენ ისინი აღარ დაგვჭირდება სამუზეუმოდაც კი და ისინი განადგურებულნი იქნებიან ახალი მშენებლობის მძლავრი ტალღით.

ამ სიმძლავრეს კი ყველაზე კარგად ცხადყოფს უზარმაზარი გიგანტი სვერდლოვსკში — სახელგანთქმული „ურალმაში“ — მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა. ქარხანა ამუშავდა 15 ივლისს და ახლა იქ დაახლოებით 40 ათასი მუშა-მოსამსახურეა, რაც შეადგენს იმის ერთ მესამედს, რამდენიც უნდა იყოს სრული დატვირთვის დროს. არ არის ისეთი მანქანა, ან მოწყობილობა, რაგვარადაც რთულიც უნდა იყოს იგი, რომელთა აგებასაც ვერ შესძლებდეს ურალმაში. ურალს და მის ულეველ სიმდიდრეებს სწორედ რომ ასეთი გიგანტი შეეფერება.

მე დავათვალიერე ბევრი სხვა, არა ნაკლებ საინტერესო ობიექტი. მაგრამ დროს გავათავით. მე ხომ ჩემი მოგზაურობის ანგარიშს არ ვწერ. მე მხოლოდ ჩემს შთაბეჭდილებებს გადმოგცემთ. ზოგიერთი საწარმოს (მაგალითად, თოფ-იარაღის ქარხნის) შესახებ შთაბეჭდილების გაზიარებას არ ვთვლი საჭიროდ. მე ბევრი რამის თქმა შემეძლო აგრეთვე იმაზე, თუ როგორი ხვდებოდნენ ამხ. სერგოს, რა შთაბეჭდილებას სტოვებდა მისი სიტყვები აქტივის კრებაზე; შემეძლო მელაპარაკნა კარგი მუშაკებისა მიმართ ამხ. სერგოს მზრუნველობისა და პატყუარებისადმი დაუნდობლობის შესახებ და სხვა; მაგრამ ვიცი, თუ როგორ არ უყვარს მას, როდესაც ამას გაახსენებენ. ამიტომ თავს ვიკავებ და ამას ჩემი მემუარების კუთვნილებად ვხდი.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ქვეყანა, მიუხედავად თავისი დიდი სივრცისა, მალე იგრძნობს ამ გიგანტების პროდუქციის ნაკადს და თუ იგი ხანდახან მათი შენების დროს ერთგვარ გაჭირვებას განიცდიდა, ექსპლოატაციის დაწყების მომენტიდან იგი ერთიასად მიიზღვევს, ვინაიდან იგი ჩვენს თვალწინ იქცევა „ლითონის ქვეყნად, ავტომობილიზაციის, ტრაქტორიზაციის ქვეყნად“. ეს არის სოციალიზმის ბაზა; მე ვიხილე სოციალიზმის ნივთობრივი გამოხატულება.

მოგვეცით უკეთესი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილი

ჩვენ დღითიდღე ვძლევთ საქონლის ნაკლებობას. საბჭოთა მაღაზიებიდან უკვე მრავლად გამოიყურება ფართო მოხმარების ნაირნაირი ფართო საქონელი.

დღეს მყიდველის მოთხოვნილებაც გაზრდილია. იგი ყველაფერზე კი არ იძახის—„მოიტა", არამედ—„ეს არ ვარგა, გამომიცვალე; უკეთესი მომეცი", ასე მიმართავს [illegible] დახლის მუშაკს და უკანასკნელიც ვალდებულია ეს მოთხოვნა შეუსრულოს.

ეს გარემოება ჩვენი მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა წინაშე გადაჭრით აყენებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წუნდებული საქონლის მთლიანად ამოფხვრის ამოცანას.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ფაბრიკა და ქარხანა, რომლებიც ხარისხისათვის ბრძოლას სათანადოდ ვერ აწარმოებენ, სადაც წუნიანი პროდუქციის გამოშვება არა თუ ისპობა, მცირდება, არამედ იზრდება.

ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკაც—ერთ ერთი მნიშვნელოვანი საწარმო მსუბუქი მრეწველობის ხაზით.

ხარისხისათვის ბრძოლა აქ სათანადოდ არ გაჩაღებულა. ფაბრიკის პარტიულ-კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ამ მხრივ ძალიან ცოტას აკეთებენ. საწარმოო-ტექნიკური მუშაკები და მუშათა კოლექტივი არაა დარაზმული იმისათვის, რომ კარგი ხარისხის საქონელი დაამზადოს. ამის გამო, ფაბრიკა საბჭოთა ბაზარს საგრძნობი რაოდენობის წუნდებულ ქსოვილს აწვდის.

ყველაფერი ეს საუკეთესოდ დაადასტურა პროდუქციის ხარისხის საწარმოო-ტექნიკურმა კონფერენციამ, რომელიც მიმდინარე წლის 9—13 სექტემბერს ჩატარდა აბრეშუმის ფაბრიკის მუშათა კლუბში.

წუნი—7,4 პროცენტი

ხშირად ნახავთ აბრეშუმის ქსოვილს, რომელსაც აქა-იქ ძაფები აკლია, ნახავთ არეულ და შეუსაბამოდ გადახლართულს, ძაფჩაწყვეტილ და დაცრეცილ ქსოვილსაც. ეს ტფილისის აბრეშუმის ფაბრიკის საქსოვი საამქროს მიერ გამოშვებული საქონელია.

ზოგჯერ ქსოვილი უთანაბროთაა შეღებილი, სხვადასხვა სიძლიერით მოკიდებული ლაქები მას სრულიად უკარგავს ელფერს და მყიდველს გული არ მისდის მის შეძენაზე. ეს სამღებრო განყოფილების დაუდევრობის შედეგია.

შეგვხვდებათ დაჭმუჭნული, უხეიროთ დაუთოებული, სახამებელდაწებებული და ლაქიანი ქსოვილი. ამაში დამნაშავეა აბრეშუმის ფაბრიკის სააპრეტურო განყოფილება.

საქმე ისაა, რომ ასეთი უვარგისი ქსოვილი მცირე რაოდენობით არ გამოდის ამ ფაბრიკიდან. დამზადებული პროდუქციის მთელი რაოდენობიდან წუნი შეადგენდა: იანვარში—6,8 პროც., თებერვალში—6,7 პროც., მარტში—9,9 პროც. როგორც ხედავთ—წუნი იზრდება. მარტში უვარგისი საქონლის გამოშვების რეკორდი დაამყარეს.

აპრილში წუნიანი საქონელი შეადგენდა გამოშვებული პროდუქციის 6,3 პროც. მაისში—5,9 პროც., ივნისში—7,6 პროც., აქაც წუნი ზევით მიიწევს.

ნახევარი წლის განმავლობაში ფაბრიკის მიერ გამოშვებულ მზა საქონლის 7,4 პროც. დაბალი ხარისხისაა. ამ მხრივ განსაკუთრებით „თავი ისახელა" საქსოვმა საამქრომ, რომელსაც ამ რაოდენობის დაახლოებით 90 პროცენტი ეკუთვნის. მას მისდევს: სამღებრო და სააპრეტურო განყოფილებები.

ყურადღება მანქანათა რემონტს

ფაბრიკაში სულ 242 საქსოვი დაზგაა. დაზგების ნაწილები ძალიან ხშირად ზიანდება—ეს უყურადღებობის ბრალია—გულისტკივილით აცხადებს კონფერენციაზე სპეციალისტი სამსონაძე — გაფუჭდა მანქანის პატარა ხრახნი მას ყურადღება არავინ მიაქცია. შემდეგ, ამ ხრახნის გაფუჭებამ მანქანა ისე დააზიანა, რომ გაკვირვებაში მოვდივართ. დაზიანებული მანქანა გავლენას ახდენს ქსოვილზე. აქ არავინაა დამნაშავე, თუ არა მუშა და ქვეოსტატი. ხშირად ზიანდება მანქანები, განსაკუთრებით მეორე, მეოთხე, მეექვსე და მერვე კომპლექტებში. აქ არ ხდება მანქანების დროზე დაზეთვა და წესიერი მოვლა.

აბრეშუმის ფაბრიკაში ახლა მანქანები ისეთ მდგომარეობაშია, რომ საჭიროა მათი კაპიტალური რემონტის ჩატარება, ნაცვლად ამისა ამ ზაფხულზე ჩატარდა მიმდინარე რემონტი და ისიც არა ყველა მანქანებისა. 280 დაზგიდან შეკეთებულია მხოლოდ 160 დაზგა. დანარჩენები ისევ ძველ პირობებში განაგრძობენ მუშაობას. ფაბრიკის ნორმალური მუშაობის და ქსოვილის ხარისხის გაუმჯობესების ინტერესები კი მოითხოვს მანქანათა კაპიტალურ რემონტს, ადმინისტრაციამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ხოიუზშოლკსნაბტრესტი" ფაბრიკის სამღებრო განყოფილებას სრულიად უვარგის საპონს აწვდის, რაც გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე ტლანქად დახვეული ძაფი, რომელიც ხშირად მიდის საქსოვ განყოფილებაში.

ფაბრიკას აკლია კვალიფიციური მუშაკები

კვალიფიციური მუშა-ხელის საკითხი აბრეშუმის ფაბრიკაში მეტად მწვავედ დგას. აქ იშვიათად ნახავთ დიდი საწარმოო სტაჟის მქონე მუშას. მოდიან სრულიად უცოდინარნი, თვეებისა და წლების განმავლობაში ქსოვის ტექნიკის ათვისებას უნდებიან. მიიღებენ კვალიფიკაციას და ტოვებენ ფაბრიკას. მათ სცვლიან ისევ უცოდინ. მუშები, რომელთაც წარმოების არაფერი გაეგებათ და დაზგებს ბრმად ემორჩილებიან. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე.

სკოლა-ფაბრიკიდან მოსული მუშათა ახალი კადრები კი ყოველთვის იმედებს ვერ ამართლებენ—ამბობენ კამათში გამოსული ამხანაგები. მართალია თეორიული მომზადება აქვთ, მაგრამ პრაქტიკულად, დაზგების წინაშე უძლურნი არიან. საჭიროა სკოლა-ფაბრიკამ ისეთნაირად გარდაქმნას მუშაობა, რომ თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს დაუკავშიროს.

— აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მუშა წუნდებულ საქონელს შეგნებულად ამზადებს—აღნიშნა ფაბრიკის ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ამხ. ბიუჭბენსიმ.—მე შემინიშნავს—თქვა მან,—რომ მუშამ ჩახლართული ძაფი ქსოვილს კი არ მოაშორა, არამედ გადაუსვა სალებავი და წუნი დამალა. ასეთი შემთხვევა აბრეშუმის ფაბრიკაში ხშირია და ახეც იქნება, სანამ იქ ისეთი მუშები იქნებიან, როგორიცაა: გაჩანსკაია, შაპოჩნიკოვა, თანიაშვილი, ყაჭიშვილი, აბრამოვა, კარპოვა, გვრიტიშვილი, ტოგონიძე და სხვები. ესენი, გარდა იმისა, რომ გეგმების რიცხვობრივად შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ, სისტემატიურად ცუდი ხარისხის საქონელს ამზადებენ.

ტექნიკური პროპაგანდა მივიწყებული დარგია

რას აკეთებენ ფაბრიკის მასობრივი ორგანიზაციები, რა მდგომარეობაშია ტექნიკური პროპაგანდა? ამ საკითხზე სიტყვა მივცეთ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის პარტკოლექტივის ბიუროს მდივან ამხ. რაზმაძეს.

— ფაბრიკაში ტექნიკური პროპაგანდა მივიწყებული დარგია — აღნიშნავს იგი. მართალია მეორე კვარტალში ტექმინიმუმის წრე 204 კაცმა გაიარა, მესამე კვარტალში კი—215-მა, მაგრამ ეს ვერ შველის საქმეს. ტექნიკურ წრეებში მუშებს ბევრი არაფერი შეუთვისებიათ. იქ ნაყოფიერი მუშაობა არ ტარდებოდა. ამის მიზეზი უყურადღებობაა, სათანადო პირობების შეუქმნელობა.

საქ. აბრეშუმის ტრესტმა ფაბრიკას არ გადაურიცხა თანხა ინჟენერ სანოვიჩის ხელფასისათვის, რომელიც ტექნიკური პროპაგანდის ხელმძღვანელად იყო გამოყოფილი. თვით ფაბრიკაში კი არავითარი ზომები არ მიუღიათ სანოვიჩის ადგილობრივი საშუალებებით დასაკმაყოფილებლად.

ტექმინიმუმის წრეებს არ გააჩნიათ სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. აბრეშუმის ფაბრიკის მუშათა უმრავლესობა კი ქართველები არიან. პირველი ტექნიკური კონფერენციის დავალებით ინჟენერმა მამუჩიშვილმა, რუსულიდან თარგმნა სათანადო სახელმძღვანელოები. ფაბრიკის ორგანიზაციებმა სთხოვეს აბრეშუმის ტრესტს ამ სახელმძღვანელოთა დაბეჭდვის დაჩქარება, მაგრამ უკანასკნელს არავითარი ზომები არ მიუღია.

ფაბრიკაში დღემდე არ არსებობს ტექნიკური კაბინეტი და ტექნიკური ბიბლიოთეკა. ამის შესახებ დადგენილება ჰქონდა გამოტანილი პირველ საწარმოო კონფერენციას, რომელიც მიმდინარე წლის მარტში ჩატარდა.

ამავე კონფერენციის დადგენილებით სამეურნეო ანგარიშის საკითხთა შესწავლისათვის, ტექნიკურ დირექციას და კადრების განყოფილებას უნდა მოეწყო მუშათა გადასამზადებელი კურსები. ასეთი მოეწყო კიდეც, მაგრამ მისგან ფაბრიკამ ვერაფერი შედეგი მიიღო. კურსებს არ ჰქონდა პროგრამა და სუსტი იყო ხელმძღვანელობა, რის გამოც მუშებმა თავი მიანებეს მეცადინეობას.

ასე „ხელმძღვანელობენ" მუშათა ტექნიკურ განათლებას

ინჟენერ-ტექნიკოსთა ბიუროს სუსტი მუშაობა აღნიშნა ჯერ კიდევ პირველმა ტექნიკურმა კონფერენციამ. მას შემდეგ ნახევარმა წელმა განვლო და საქმეს გამოსწორება მაინც არ დაეტყო. ინჟენერ-ტექნიკური მუშაკები მუშათა საწარმოო განათლების საქმეს სუსტად ხელმძღვანელობდნენ. მათ არ შეასრულეს დავალება ყოველთვიურად ტექნიკური ფურცლების გამოშვების შესახებ განსაკუთრებული უყურადღებობა ამ საქმისადმი გამოიჩინა ფაბრიკის ტექნიკურმა საბჭომ.

არაფერს აკეთებს საკონსულტაციო ბიურო. მას არ ჩაუტარებია არც ერთი ლექცია, არ გაუცია არცერთი ტექნიკური დარიგება.

მუშები არ იცნობენ ფაბრიკის ტექნიკურ გეგმას. რა მუშების საქმეა იგი, ტექნიკურ გეგმას ფაბრიკის ხელმძღვანელები უნდა იცნობდნენ, ითქვა ტექნიკური გეგმის შემდგენ კომისიაში და ამ აზრის წინააღმდეგ არავის გაულაშქრია.

ასე ხელმძღვანელობენ მუშათა ტექნიკურ განათლებას აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში. ამით აიხსნება უვარგისი საქონლის ის დიდი პროცენტი, რომელიც ამ ფაბრიკამ მოგვცა გასულ რვა თვეს.

აბრეშუმის ფაბრიკის ხელმძღვანელებმა უახლოეს დროში უნდა უზრუნველყონ მანქანების კაპიტალური რემონტის ჩატარება. მათ უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები დამხმარე მასალის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ფაბრიკის პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ფართო ბრძოლა უნდა გააჩაღონ ტექნიკური პროპაგანდის გაშლისათვის, მუშათა ტექნიკური განათლებისათვის.

უამისოდ შეუძლებელია წუნის ლიკვიდაცია და საბჭოთა მომხმარებლისათვის საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის ქსოვილის მიწოდება.

ც. პაიჭაძე.

ფოტ. [illegible]

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა. დამკვრელი კომკავშირელი ქალი ამხ. ცარქოშა, ამოწმებს ქსოვილის ხარისხს

სამოქალაქო ავიაციის ერთთვიური

გადავსეროთ რესპუბლიკა ახალი საჰაერო ხაზებით

ჰაეროდრომების მშენებლობაში გარდატეხა არ მომხდარა

სამოქალაქო ავიაციის ერთთვიურის მიმდინარეობამ ჯერ კიდევ ვერ მოგვცა სასურველი გარდატეხა, ვერც საკვანძო და ვერც შუალედი ჰაეროდრომების მშენებლობაში. ტფილისის ახალი ჰაერო-პორტის გახსნა უნდა მომხდარიყო 10 სექტემბერს. ამ რიცხვიდან თვითმფრინავების მიღება და მათი გაშვება უნდა წარმოებულიყო ახალი ჰაეროპორტიდან, მაგრამ მთელ რიგ აუცილებელ ნაგებობათა დაუმთავრებლობის გამო ჰაეროპორტზე სამოქალაქო ავიაციის მუშაობის გადატანა ვერ მოხერხდა.

სამოქალაქო ავიაციის ა.-კ. სამმართველოში მიღებული ცნობებით, სუსტად და არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს შუალედი ჰაეროდრომების მშენებლობის საქმეც. წელს განზრახულია საქართველოს მთავარი საჰაერო მაგისტრალის ტფილის—სოხუმის გახსნა. ამ მაგისტრალის შუალედი ჰაეროდრომები მოწყობილი უნდა იქნეს — გორში, ხაშურში, ზესტაფონში, სამტრედიასა და ზუგდიდში. საკვანძო ჰაეროდრომი კი მოწყობილი იქნება ქუთაისსა და სოხუმში.

არც ერთ ჩამოთვლილ პუნქტში ჰაეროდრომების მშენებლობა ამჟამად არა სათანადო ტემპებით წარმოებს. ყოველშემთხვევაში მუშაობის არსებული ტემპები ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს ტფილის-სოხუმს შორის საჰაერო მიმოსვლის დანიშნულ ვადისათვის გახსნას.

მთავარი დაბრკოლება — თანხების სიმცირე და ხელმძღვანელობის სისუსტე. ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებული იყვნენ მუშაობა გაეჩაღებინათ და ენერგიულად ეხელმძღვანელათ სამოქალაქო ავიაციის განსავითარებლად თანხების შეგროვების საქმისათვის, არ ამოქმედებულან. თანხების შეგროვებაში ადგილი აქვს თვითდინებაზე დაყრდნობას, რასაც ამთავითვე უნდა მოეღოს ბოლო. კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც ამ საქმის ინიციატორები, უნდა იყვნენ, მხოლოდ უკანასკნელ დღეებში ამოძრავდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ზოგიერთი იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმოქმედობა, რომლებმაც იკისრეს საკუთარი სახელობის თვითმფრინავების აგება.

თვითმფრინავ ანტ—9-ს სამგზავრო კაბინი. ასეთი თვითმფრინავები მომავალ წელს იფრენენ საქართველოში

ხელოვნების მუშაკთა კავშირმა, მაგალითად, საგრძნობი თანხაც შეაგროვა და ავანსად თვითმფრინავიც მიიღო. მან ეს თვითმფრინავი — „საბჭოთა ხელოვნება" უკვე გადასცა სამოქალაქო ავიაციას, ხოლო ჯერ თვითმფრინავის სრულად გამოსასყიდი თანხა არ შეუტანია. ხელოვნების მუშაკებმა ეს საქმე მიივიწყეს და არის საფრთხე, რომ დადებული ხელშეკრულება თვითმფრინავის გამოსასყიდის თანხის შეტანის შესახებ, ვადისათვის არ იქნება შესრულებული. იგივე უნდა ითქვას ა.-კ. ფიზკულტურული ორგანიზაციების შესახებაც.

უნდა ავაგოთ „საქართველოს პროფკავშირელი"

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, დაწყებული იქნეს პროფკავშირის წევრთა შორის თანხების ნებაყოფლობითი შეგროვება ახალი დიდი სამგზავრო თვითმფრინავის — „საქართველოს პროფკავშირელის" ასაგებად.

აღნიშნული თვითმფრინავი იქნება [illegible] ადგილიანი და იფრენს საქართველოს საჰაერო ხაზებზე. თვითმფრინავის ასაგებად საჭიროა 75.000 მანეთის შეგროვება. ეს თანხა უკვე განაწილებულია ცალკე პროფკავშირებს შორის, რომლებმაც საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების, ამ საქმის გარშემო ამოძრავების და ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებით უნდა შეაგროვონ ეს თანხა.

გარდა ამისა, საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რაიპროფსაბჭოებს უფრო აქტიურად ჩაებან სამოქალაქო ავიაციის ერთთვიურში და დაიწყონ თანხების შეგროვება სარაიონთაშორისო საჰაერო ხაზებზე საფრენი მსუბუქი თვითმფრინავების ასაგებად. გამოცხადებულია ცალკე რაიპროფსაბჭოების რესპუბლიკანური შეჯიბრება თანხების უკეთესი შეგროვებისა და საკუთარი თვითმფრინავების უმოკლეს დროში აგებისათვის.

სამოქალაქო ავიაციის ერთთვიურის ჩატარებაში პროფორგანიზაციების მონაწილეობის გასაძლიერებლად და სახელმძღვანელოდ პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან გამოყოფილია სპეციალური კომისია.

სტალინისის რკინისგზელებმა შეაგროვეს 10.700 მანეთი

სამოქალაქო ავიაციის ერთთვიურთან დაკავშირებით სტალინისის რკინისგზელებმა გააჩაღეს მუშაობა სამოქალაქო ავიაციის ფონდის გაძლიერებისათვის.

სტალინისის დეპოს მუშებმა უკვე შეაგროვეს და სახელმწიფო ბანკში შეიტანეს —5.350 მანეთი, ორთქლმავალთა ბრიგადებს შორის შეგროვილია და შეტანილი — 1.680 მანეთი, შემკეთებელი საამქროს --2050 მანეთი, სავაგონო პარკის მუშებისგან—1620 მანეთი. თანხების შეგროვება გრძელდება.

სტალინისელ რკინისგზელებს სხვა სადგურების რკინისგზელებმაც უნდა მიბაძონ.

ჯანჯღავა.

ლენინის მონუმენტალური ძეგლი, გაკეთებული მოქანდაკე რ. ამიროვის მიერ. სპეციალური კომისიის მიერ ნებადართულია ძეგლის დადგმა რაიონებში

გაიხსნა მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი

მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი პირველია საქართველოში. მუზეუმში დაგროვილია მასალები და ნიმუშები კლასიკოსი მწერლების დანიელ ჭონქაძის, ვაჟა ფშაველას, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, ნიკო ნიკოლაძის და ალექსანდრე გრიბოედოვის ცხოვრებისა და ლიტერატურული მუშაობის შესახებ. მუზეუმში მოწყობილია მდიდარი ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობის კუთხეები.

გარდა ამისა მუზეუმში შენახულია იოსებ დავითაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, ნიკო ლომოურის, სერგეი მესხის და სხვ. გამოუქვეყნებელი ხელთნაწერები, არქივები და სხვადასხვა მიმოწერები.

მთაწმინდის მუზეუმს ლიტერატურულ მემკვიდრეობის შესწავლისა და კულტურული მშენებლობის საქმეში აქვს უდიდესი პოლიტიკური საგანმანათლებლო მნიშვნელობა.

აკაკი წერეთლის კუთხე მწერალთა მუზეუმში

ქრონიკა

საქ. სამეცნიერო საბჭოს პლენუმი

22 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. მუზეუმის დარბაზში უმაღლეს სასწავლებლების და ტექნიკუმების შესახებ საქ. ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების წლისთავის აღსანიშნავად შედგება საქ. სსრ. სამეცნიერო საბჭოს პლენუმი. უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა მონაწილეობით. პლენუმის დღის წესრიგში დგას საქ. ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციის შედეგები, ახალი სასწავლო წლის ამოცანების შესახებ განათლების სახალხო კომისრის ამხ. ბედიას მოხსენება და საქ. მძიმე მრეწველობის და მიწათმოქმედების სახკომატების კადრების განყოფილებათა თანამოხსენებები ინდუსტრიალურსა და სასოფლო სამეურნეო სასწავლებლებში ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების განხორციელების შესახებ.

„ხელის ენა კავკასიაში"

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის [illegible] კომისიამ (ლენინგრადი) დასაბეჭდად მიიღო დოც. დ. კარბელაშვილის შრომა „ხელის ენა კავკასიაში", რომელიც შედგენილია ბარანის რაიონის (სომხეთი) მასალების მიხედვით, შრომა გამოდის აკად. ი. მეშჩანინოვის რედაქციით და წინასიტყვაობით გამოცემა ა.-კ. სახ. გამომცემლობა. შრომას დართული აქვს შედარებითი ტაბულები, 100-მდე სურათი და რეზიუმე გერმანულ ენაზე, იგივე შრომა უახლოეს ხანებში გამოიცემა ქართულადაც.

მოხსენება გენეტიკის ზოგიერთი პრობლემის შესახებ

19 სექტემბერს საღამოს 7 საათზე საქ. სახ. ზოოტექნიკურ სავეტერინარო ინსტიტუტის № 8 აუდიტორიაში ამხ. პაპალაშვილი გააკეთებს მოხსენებას თემაზე „გენეტიკის ზოგიერთი პრობლემა".

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

20 სექტემბერს, საღამოს 7 საათ. საქ. კომპ. (ბ) ტ. კ-ს კულტპროპში, ამხ. დემეტრაძესთან (ოთახი № 34) შესდგება პარტთათბირი ტფილისის პირველი და მეორე საფეხურის პედაგოგების მარქსისტულ-ლენინური სწავლების ორგანიზაციის საკითხის შესახებ.

წინადადება ეძლევათ თათბირზე გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ბუნიატოვა (სტალინის სახელობის რაიკომი), სიხარულიძე (ლენინ. რ.კ.), ჯაფარიძე („26" რ.კ.), გეგენავა (ორჯონიკიძის რ.კ.), პოლოხოვი (საქ. კომპ. (ბ) ც. კ-ს კულტპროპი), კომკავშირის რაიკომების კულტპროპების გამგეები, განათლ. მუშაკთა კავშირის რაიკომების თავმჯდომარეები და განათლების რაიონ. განყოფ. გამგეები, ამხ. გოფმანსკი (ლაკკ-ს ტ.კ.), ამხ. ქაცარავა (ტფილ. განათლ. განყოფ.), საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგ. განათლ. მუშაკთა კავშირის კულტგანყოფილების გამგე. საქ. კომპ. (ბ) და ლაკკ-ს უჯრედების მდივნები საქ.ში და მსხვილ სკოლათა ადგილკომების თავმჯდომარეები.

საქართველოს კომპ. (ბ) ტ. კ-ს კულტპროპი.

ა.-წ. წლის 22 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, სტალინის სახელობის კლუბის შენობაში მოწვეულია საქართველოს კომპ. (ბ) ტფ. კ-ტისა და ტფ. საბჭოს გაერთიანებული პლენუმი. დღის წესრიგი შემდეგია:

1. ტფილისის საბჭოს ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება;
2. ქალაქის მეურნეობის შესახებ.
3. ინფორმაცია [illegible] მშენებლობის სამუშაოთა მსვლელობის შესახებ.

ტფ. კ-ს და ტფ. საბჭოს წევრები შედიან თავისი მანდატებით. დანარჩენი ამხანაგები ბილეთებს მიიღებენ რაიკომებსა და რაისაბჭოებში.

საქართველოს კომპ. (ბ) ტფ. კ-ტი ტფილ. საბჭო.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიაში

ლენინის რაიონის (ტფილისი) რაისაკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის დადგენილებით, გიორგი სოლომონის ძე დანდუროვი (პარტიის წევრი 1927 წლიდან. პარტბილეთი № 0872340) უჯრედის დახურულ კრებაზე ანტიპარტიული გამოსვლისათვის გამორიცხული იქნა პარტიის რიგებიდან.

დანდუროვი არა ერთხელ დაუბარებიათ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, მაგრამ ერთხელაც არ გამოცხადებულა.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიამ დაადასტურა ლენინის რაისაკონტროლო კომისიის დადგენილება პარტიიდან დანდუროვის გამორიცხვის შესახებ (ადს).

მარგანეცი

ჭიათურა, 17 სექტემბერი. ჭიათურის მაღაროებში 15 სექტემბერს ამოიღეს 3.726 ტონა მარგანეცი, გეგმის 98,3 პროც.

ამავე დღეს, გარეცხეს 1.795 ტონა, რაც უდრის გეგმის 90,2 პროცენტს.

ახტალა—ჯანმრთელობის კურა

კურორტი ახტალა, თავისი სამკურნალო თვისებებით განთქმულია მთელ ამიერკავკასიაში. ახტალის ტალახის აბაზანებით იკურნებიან რევმატიზმით და სხვადასხვა ქარებით დაავადებული მშრომელები.

წელს ახტალაზე გახსნილია დასასვენებელი სახლი, სადაც სამკურნალოთ ჩამოსული არიან—ბაქოდან, ტფილისიდან, განჯიდან, ერევნიდან და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სხვა ქალაქებიდან.

სურათზე: ზემოთ—სამკურნალო ტალახის საბადო, ქვემოთ—მოაგარაკეები უსმენენ რადიოს.

ა.-წ. 19 და 20 სექტემბერს, „კომუნისტი"-ს რედაქცია აწყობს

დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების რეიდს

ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე.

რეიდში მონაწილეობის მისაღებად დამკ. მუშკორები უნდა გამოცხადდნენ „კომუნისტი"-ს რედაქციაში (რუსთაველის პრ. № 16) დილის 9 საათზე.

„კომუნისტი"-ს დამკ. მუშკორთა ბრიგადების სექტორი.

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

თერი 8 9-20, 10-40.	საზღვარგ. კომ. გებიას შვილისშვილი პრ. გარ.—სკჟ. № 22.
დამკვრელი 8-30, 10-30.	მხატვრ. ფილმი ჯვარი და მაუზერი პრ. გარეშე—სადარაჯოზე № 7.
ტემპი 8, 9-20, 10-40	მხატვრ. ფილმი ღამის მეეტლე პრ. გარ. [illegible] № 18
კომინტერნი (დიდუბე) 8-30, 10	მხატვრული ფილმი დინა ძა-ძუ პრ. გარ.—საბჭოთა საქ. № 12.
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30.	ხმ. ფილმი მტრედისფერი ექსპრესი პრ. გარ.—ხმოვანი ჟურნალი № 5.
დამკვრელი 7-30, 9, 10-30.	სახკინმრეწვის ნაწარმ. გუზანკალი პრ. გარეშე—სადარაჯოზე № 7
რ. ლიუქსემბურგის 7, 8-45, 10-30	მხატვრული ფილმი ბელა პრ. გარ.—ავტოგზა
სპარტაკი 7-30, 9, 10-30	სათავგადასავლო ფილმი ალიმი
26-ის სახელობის 8-30 10	საზღვარგ. კომედია უკანასკნელი ცნობები
მეცნიერება და ტექნიკა [illegible]	სამეცნიერო ფილმი მაიმუნი და ადამიანი
საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშვო ფილმი ნამდვილი მონადირენი

სახ. ოპერა

20 სექტემბერს იწყება

მეორე შესატანის ვადაუხდელი აბონემენტების ინდივიდუალური გაყიდვა.

სალარო ღიაა დილით 11-დან 2 საათამდის, საღამოს 6-დან 8 საათამდის.

გამოსასვლელ დღეს სალარო მუშაობს. 2—1 1373

ყოფილ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დახურულ სამზარეულოს გამგეობა ამით აცნობებს ხსენებულ სასადილოს მეპაიეებს, რომ ა/წლის 19 სექტემბერს საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია

მეპაიეთა საერთო კრება

სამზარეულოს ლიკვიდაციის საკითხზე

მილიციის დახურულ კოოპერატივის ბინაზე (კომინტერნის ქუჩა № 6).

უკეთუ მეპაიების განსაზღვრული რიცხვი არ გამოცხადდება დანიშნულ ვადაზე, მეორე კრება შესდგება იმავე დღეს საღამოს 8 საათზე და ჩაითვლება კანონიერად გამოცხადებულთა რიცხვის მიუხედავად.

1359 გამგეობა.

საჩბანკის ამიერკავკასიის და საქართველოს კანტორები აცნობებენ მოვაჭრე ორგანიზაციებს (სამომხმარ. კოოპერაციის და სავაჭროებისა), რომ საჩბანკის აპარატში დილის 9 საათიდან—შუადღის 12 საათამდე გახსნილია კონსულტაცია საქონელბრუნვის დაკრედიტების ახალ ფორმებზე გადასვლის საკითხებზე.

საჩბანკის ამიერკავკასიის და საქართველოს კანტორები. 2—1 ნ. 338

სტალინის სახელობის რაისაბჭოს საფინგანი ამით აცხადებს, რომ ა/წ. 20 სექტემბერს, დღის 12 საათზე

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

პლეხანოვის გამზ. № 97, გაიყიდება „სარკის საქლესი" ქარხანა თავისი მოწყობილობით (შენობები, დაზგები, მოტორები, ნედლი მასალა, მზა ნაწარმი და სხვა) მასზე რიცხული სახელმწიფო გადასახადების დასაფარავად. მსურველებს შეუძლიათ ყოველგვარი ცნობებისათვის მიმართონ რაიფინგანს, პლეხანოვის გამზირი № 121-ში.

1391 მე-2 რე რაიფინგანი.

ტფილისის ინდუსტრიალური ინსტიტუტის ქიმიური-ტექნოლოგიური ფაკულტეტი აცხადებს, რომ

პროფესორ ი. ი. კიტაიგოროდსკის

პირველი ლექცია:

„მინის მრეწველობაში მექანიზაციის მიმართულება ჩვენში და საზღვარგარეთ" (დიაპოზიტებით) შესდგება 20 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ფიზიკურ აუდიტორიაში (სასწავლო შესახვევი 24).

1378 დირექტორი.

მუშათა მომარაგების ტფილისის სარაიონო განყოფილება (ყოფ. რაი-სატრანსპ. სამომხმ. საზ-ბა) ხელახლა აცხადებს იმ მეპაიეთა საყურადღებოდ, რომლებსაც შემოტანილი აქვთ მიზნობრივი ავანსები სამრეწველო საქონლისთვის, რომ მიზნობრივი ავანსებით საქონლის გაცემის ვადა გაგრძელებულია 1933 წლის 30 სექტემბრამდე.

საქონლის შესაფერი ასორტიმენტის უქონლობის შემთხვევაში ავანსიორებმა უნდა მიიღონ თავისი ფული.

მუშათა მომარაგების ტფ. სარაიონო განყ. უფროსი—ქუთათელაძე.

371

განათლ. სახკომის ნებართვით

ვამზადებთ მოწაფეებს:

10-წლ. და 7-წლ. მოწმობისათვის. აქვე ვასწავლით ბუხჰალტერიას და კომერციულ [illegible] ბუხჰალტრის და მოანგარიშის თანამდებობისათვის. კარგარეთელის ქ. № 3 ა კინო „ოქტომბრის" მახლობლად. დილას 7-8 ს. [illegible] საღ. 4-5 ს. 13 10—1

ლ. ბერია, პ. აღნიაშვილი, ვ. დეკონოზიშვილი, გ. არუთინოვი, თ. კორსაველი, ვ. ბაქრაძე, კ. ორაგველიძე და ს. მილშტეინი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ტიტე ლორთქიფანიძეს მისი მამის

ილარიონ თომას ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო

ა.-კ. და საქ. სახ. პოლიტსამმართველოს კოლეგია და თანამშრომელთა კოლექტივი უცხადებს ამხ. ტიტე ლორთქიფანიძეს გულწრფელ თანაგრძნობას მისი მამის

ილარიონ თომას ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო

ექიმი

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ-ორთქ. ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) 19, იღებს დილით 10—1 ს. და საღ. 6—8 ს. შესავალი ძნელაძის შესახვევიდან. 25—11

ექიმი

ჰ. ი. ჯალალოვი

კანის და ვენერ. ავათმყ. სიფილისი, ტრიპერი და მისი შედეგების მკურნალობა. მიღება: მამაკაც. 8—9 ს. დილ., 7—8 ს. საღამოს, ქალების 6—7 ს. საღ. კამოს ქ. № 19, ტელ № 29—05. 25—10.

ი. ი. ჭეიშვილი

ხიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.

მისამართი კამოს ქ. № 72 (ყ. დიდი მთავრის ქ.) ალექსანდროვის [illegible] პირდაპ. [illegible] 15—1-

განსახკომის უცხო ენების

უმაღლესი კურსები

გადავიდა ბარნოვის ქუჩიდან № 46 მე-42 შრომის სკოლის შენობაში, ბარნოვის ქ. № 10-ში. ტელეფონი № 33-56 (ქალაქის ქვესადგური).

მეცადინეობა იწყება ა. წ. 19 სექტემბერს საღამოს სრულ 6 საათზე.

1366 დირექცია

დაიკარგა ა/წ. 3 სექტემბერს ქ. ტფილისში ნერვებ აშლილი საშუალო ხნის საშუალო ტანის კაცი ლასო გიორგის-ძე ბუხრაშვილი, მნახველს ვთხოვთ აცნობოს ჩხარის რაიონის თუზის სასოფლო საბჭოს. 1375

18 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ემნეკო ბაკურაძის ას. ბრეგაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც იუწყებიან გულდამწვარი ქმარი აპოლონ ბრეგაძე, მული ანეტა დავლიანიძე. 365

დამწუხრებული ცოლი ვართანუშა, შვილები: ივანე, მარუსა, ძმა იაკობ, ნათესავები: ჟენია, ანიჩკა, გიორგი, ნინა, ელიკო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პეტრე ივანეს-ძე ლალიაშვილი

დაკრძალვა 20 სექტემბერს 5 ს. ველაბრის სასაფლაოზე. გამოსვენება ეტაპის ქ. № 24. 369

„საქკოოპინდლეულის" თანამშრომლები იუწყებიან ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. ვლადიმერ სალარეიშვილის დედის

მარო ზურაბის ას. სალარეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 18 სექტემბერს დღის 2 საათზე; ბინიდან—ვერცხლის ქ. № 31, კუკიის სასაფლაოზე. 367

გულდამწვარნი: ბარბალე, კოლია და ალექსი (საშა) გუდაძეები ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი ძმა და ბიძა

იორდანე ივანეს-ძე ლამბაშიძე

დაკრძალვა 19 სექტემბერს 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 360

გაუბედურებული ცოლი ნინო, შვილები: ვახტანგი, ოლია და ირაკლი აცხადებენ, რომ 16 სექტემბერს გარდაიცვალა

იორდანე ივანეს-ძე ლამბაშიძე

სამოქ. პანაშვიდი 18 სექტემბერს 6 საათზე. გამოსვენება 19 სექტემბერს 4 საათზე პარკოვის № 26. 360

თავზარდაცემული ძმები სტეფანე, ეფრემ, იოსები და სიმონ ლამბაშიძეები ოჯახებით აცხადებენ, რომ 16 სექტემბერს გარდაიცვალა უძვირფასესი ძმა

იორდანე ივანეს-ძე ლამბაშიძე

გამოსვენება 19 სექტემბერს 4 საათზე, პარკოვის ქ. 26, კუკიის სასაფლაოზე. 360

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ბაბუა დავითი, ბებია იულიტა, მამიდები: ვერა, ლიუბა, ბიცოლა საშა, ბიძაშვილი იასონი იუწყებიან მათთვის საუკეთესო პატარა

გურამი ევგენის-ძე ხოშტარიას

უდროოდ დაკარგვას. 362

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: ძმისშვილები ტრიფონი, თამარა, ქეთო, რძალი ლიდა, სიძე ვარლამი ძმისშვილისშვილები მურმანი და კუკური იუწყებიან საყვარელ

იაგო ივანეს ძე ხელაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მათხოჯში 19 სექტემბერს. 363

ღრმად დამწუხრებული ქმარი გიორგი, შვილები სევერიანი, ვარლამი, ზინა ქმარით, შურა ელენე, ოლია, რძლები: სონა, მარგალიტა იუწყებიან ძვირფასი დედის

პოლექსი ნიკოს ას. ჭავჭანიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება 19 სექტემბერს ხ. დილიკაურში. 364

ბესარიონ გუგუშვილი შვილებით: შურა, ლიუბა, ალექსანდრა, პაატა უღრმესი მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ძმისშვილის ევგენი ხოშტარიას შვილის

პატარა გურამის

უდროოდ დაკარგვას. 368

ქმარი პეტრე, შვილები: ალექსი, მარიამი, ნინა, დათიკო, თამარი, ვახტანგი. რძალი ვალენტინა კაპანაძეები, სიძეები: შ. მაისურაძე, გ. აბრამაშვილი, იუწყებიან საყვარელ

ეკატერინე დავითის ას. კაპანაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სტალინისში გამოცხადდება ცალკე. 376

დავით ციბაძე, მამია დუდუჩავა, ნინა ხარაძე, ანტონ მუჯირი, გიორგი შიშინაშვილი, სერგო გუნია და იასონ შენგელია მწუხარებით იუწყებიან მათი უახლოესი მეგობრის ვანო ხელაიას მამის

გიორგი ხელაიას

გარდაცვალებას. ნ. 335

18 სექტემბერს დღის 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ექ. იულია აბაშიძე-ანთელავას

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც იუწყებიან გულდამწვარნი: ქმარი მამია ანთელავა დედით, შვილებით, ძმები: ვარლამ, დიმიტრი აბაშიძეები ოჯახებით. 374

კავშირგაბმულობის ა.-კ. ელექტრო ტექნიკუმის განათლების მუშაკთა კავშირის ადგილკომი მწუხარებით იუწყება, ამავე ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგის ივანე ხელაიას მამის

გიორგი ხელაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 სექტემბერს ს. მათხოჯში.

სიღნაღის რაიფინგანის თანამშრომლები და საქ. ფინსახკომის წარმომადგენელი დავითაშვილი ღრმეს მწუხარებას გამოთქვამენ სიღნაღის რაიფინგანის თანამშრომელ სანდრო ნაკაიძის მამის

მიხეილ ნაკაიძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ნატანებში. ნ. 339

19 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე სოფ. [illegible] დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ მოამაგე დედის

ნატალია ივანეს ას. მენაბდის

ხსოვნის აღსანიშნავად. რასაც აუწყებენ შვილი კოლია, რძალი მარო, შვილიშვილები გურამი და ბიძინა. 370

გულმოკლული მშობლები: დედა კესარია ფირცხალაიშვილი, მამა ბარნაბი, ძმა პეტრე, დები: კატუშა, ვანდა სიხარულიძეები უღრმეს მადლობას უძღვნიან იმათ, ვინც გაინაწილეს მათი მწუხარება საყვარელი გოგონას

ლიდა (კოშკა) სიხარულიძის

უდროოდ დაკარგვის გამო. 372

მთავლიტის რწმუნებული ა 1458